140 /2
1989

ISSN 0132 - 6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1989

# სიყვარულის ხიდი



ჭეშმარიტი მეგობრობა ჭირში გამოიცდებაო, ხალხს უთქვამს და მოძმე სომხეთის თავს დატეხილი უბედურების დღეებში კიდევ ერთხელ დამტკიცდა ამ სიტყვების უტყუარობა. ქართველობა პირველი ამოუდგა მხარში სტიქიით დაზარალებულთ, პირველმა დადგა ფეხი ავარქმნილ სომხურ მიწაზე, პირველმა შეაშველა ნუგეში და დახმარების ხელი სასოწარკვეთილ მოძმეთ. თავდაუზოგავად ირჯებოდნენ გადარჩენილებისა თუ დაღუპულების საზარელი ნანგრევებიდან დასახსნელად საქართველოს წარგზავნილები — მუშები, სპეციალისტები, სტუდენტები; დღესა და ღამეს ასწორებდნენ იქაურ თუ აქაურ სამკურნალო დაწესებულებებში ქართველი მედიკოსები; უშურველად გაიღო რესპუბლიკამ გაუბედურებული მეზობლებისათვის სისხლი, სასმელ-საჭმელი, მედიკამენტები, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, შექმნილ ვითარებაში საჭირო ნივთები, მასალა, ტექნიკა, ფულადი სახსრები; ათასობით სომეხმა მოქალაქემ ჰპოვა დროებითი თავშესაფარი საქართველოს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, სასტუმროებსა თუ ტურბაზებში; ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი შეიფარეს ჩვენმა ოჯახებმა; ათასობით დაზარალებული იშუშებს იარებს რესპუბლიკის საავადმყოფოებში, ჯანმრთელობის სხვადასხვა კერებში.

რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტი სითბო და ზრუნვა ბავშვებზე მოდის. მომხდარ-განცდილით გაოგნებული, შეშინებული, დაშავებული თუ და-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავუბრუნოთ!

ობლებული სომეხი ბავშვებისათვის ღიმილის დაბრუნებაზე ფიქრობს დღეს მთელი მსოფლიო და ჩვენი უპირველესი საზრუნავიც ეს არის.

ასობით უბედურებაგამოვლილი სომეხი ბავშვი დაჰყოფს ჩვენს მიწა-წყალზე დროებით, სანამ მათ სოფელ-ქალაქებში ცხოვრება აღორძინდებოდეს; ასობით თქვენი თანატოლი ისწავლის ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, სანამ მათ ახალ სკოლებს აუშენებდნენ.

აი, მაგალითად ეს კიროვაკანელი, ლენინაკანელი და სპიტაკელი გოგონები და ბიჭუნები თბილისის 104-ე სკოლაში ისწავლიან. მათი თბილისელი მასწავლებლები და ამხანაგები კი ყველანაირად ეცდებიან სიცოცხლის ხალისი დაუბრუნონ მათ.



✻✻✻

ამ
ლენინაკანელი
ბავშვებისათვის
დაწყებითი
კლასების
პედაგოგი
თამარ
მანუკიანი
ახლა
მასწავლებელიცაა
და
დედაც

✻✻✻





✻

სპიტაკელი
კარენ
კარაპეტიანი

✻

კიროვაკანელი
ლილი
კაზარიანი

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის
1926
წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა

2 თებერვალი 1989

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



»ნაკადული« 50

# ვინაც ნაკადულს ახლოს გაუვლია

— ბატონო ვახტანგ! უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, თქვენ და, თქვენთან ერთად, ჩვენს საერთო მკითხველსაც მივულოცო ჩვენი საყვარელი საბავშვო გამომცემლობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ორმოცდაათს მიახლოებული კაცი ყველაზე ტკბილად ალბათ თავის სიჭაბუკესა და ბავშვობას მოიგონებს. როგორი იყო ეს წლები „ნაკადულისათვის“?

— ისეთი შემოქმედებითი კოლექტივისათვის, როგორიც „ნაკადულია“, ორმოცდაათი წელი ალბათ არც თუ ბევრია, თუმცა არც ცოტა ითქმის. თუ გავიხსენებთ, რომ ადრე იგი წელიწადში მხოლოდ 30-40 დასახელების წიგნს თუ დაბეჭდავდა, დღეს კი ყოველწლიურად უკვე 150 დასახელებისას უშვებს და თანაც ასობით ათასიანი ტირაჟებით. ბუნებრივია, რომ ამ ორმოცდაათ წელიწადში გამომცემლობაში მოხდა არაერთი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებაც. ვიმედოვნებთ, რომ ყველა სიახლით, რაც ამ წლების მანძილზე განხორციელდა ჩვენს კოლექტივში, კიდევ უფრო ახლოს მივედით ჩვენი მკითხველის ინტერესებთან. უკეთ ავუღეთ ალღო მის მიდრეკილებებსა და სურვილებს.

ალბათ, მოგეხსენებათ ჩვენი გამომცემლობის თავდაპირველი სახელწოდება „საბლიტგამი“ — საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა... ვფიქრობ, ჩვენს მოზარდებსაც ეცნობათ ეს ძველი სახელი, არ შეიძლება რომელიმე მათგანს საოჯახო ბიბლიოთეკაში მაინც არ ჰქონდეს შემონახული იმდროინდელი თითო-ოროლა საყმაწვილო წიგნი.

„საბლიტგამი“ 1938 წელს გამოეყო „სახელგამს“ და ამ დროიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მის იმჟამინდელ შესაძლებლობებზე ცოტა ზემოთაც ვთქვი... ოცამდე კაცი მუშაობდა იმხანად „საბლიტგამში“, აქ გამოცემული წიგნების ტირაჟი 5.000-ს ძლივს აღწევდა. პრობლემა ბევრი იყო, უპირველესად — ქაღალდი. შაქრისა ერქვა, უხეშ ქაღალდზე წარმოებდა ბეჭდვა. მაინც გაკეთდა რამდენიმე კარგი საქმე. ვგულისხმობ სერვანტესის დიდებული წიგნის „დონ კიხოტის“ სრულ გამოცემას. ამ დრომდე ქართულ ენაზე გვქონდა მისი მხოლოდ პირველი ტომი, 1909 წელს გამოცემული. გამომცემლობამ მოიძია ეს ნახევარი, ზედ დაურთო მეორე ტომიც და მშვენივრად გაფორმებულ-გამოცემული მიაწოდა მკითხველს. ასეთ წიგნთა შორისაა თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალაც — ქართული ზღაპრები, ჩვენი უბადლო მხატვრის ლადო გუდიაშვილის დასურათებით.

**— რახან გამომცემლობის არსებობის პირველი დღეები გავიხსენეთ, იქნებ მოგვეგონებინა ის ადამიანებიც, ვინც ამ დიდი საქმის სათავეებთან იდგა...**

— ალბათ, აჯობებს ეს გახსენება „ნაკადულის“ პირველი ხელმძღვანელობით დავიწყოთ... გამომცემლობის პირველი დირექტორი გახლდათ კონსტანტინე ჭანტურიშვილი, მოგვიანებით იგი შეცვალა ჯერ ვასილ კიკნაძემ, მერე — თეო აბაშმაძემ; შემდეგ იყო ამირან გაბესკირია. ამ პერიოდიდან „ნაკადულში“, ასე ვთქვათ, მწერალთა „ჰეგემონია“ იწყება. გამომცემლობის დირექტორის თანამდებობაზე ერთმანეთს ცვლიან ჩვენი ცნობილი მწერლები — ხუტა ბერულავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი...

როგორც ჩანს, „ნაკადულს“ იმთავითვე გაუმართლა. დაარსების პირველივე დღეებიდან მასთან მეგობრობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები. „ნაკადულს“ მუდამ სწყალობდნენ იოსებ გრიშაშვილი და ლეო ქიაჩელი, ანა ხახუტაშვილი და ნინო ნაკაშიძე, სერგო კლდიაშვილი, მარიჯანი, როდიონ ქორქია... ყველას ვერ ჩამოთვლი, მთავარია, რომ ქართველი მწერლებისა და ქართული საბავშვო გამომცემლობის მეგობრობის ეს ძვირფასი ტრადიცია დღესაც გრძელდება. და განა მარტო ქართველ მწერლებთან მეგობრობისა... ყველამ იცით, რომ საბავშვო გამომცემლობას არ შეიძლება განსაკუთრებული შემოქმედებითი მეგობრობა არ აკავშირებდეს წიგნის მხატვრებთან, მაგრამ ალბათ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ჩვენს ავტორთა შორის ბევრია მეცნიერიც, სხვადასხვა დარგის სპეციალისტიც, ცნობილი მოგზაურიცა და ბუნების ქომაგიც. მათთან ურთიერთობით საზრდოობს ჩვენი მკითხველის ინტერესებიც და გამომცემლობის კოლექტივის მთელი შემოქმედებითი გეგმებიც.

**— მოგეხსენებათ, ბავშვი ათასნაირია. ზოგს წიგნი საერთოდაც ნაკლებად იტაცებს, მაგრამ იმათშიც, ვინც წიგნთან მეგობრობს, ბევრს არ იზიდავს მისი ასაკისათვის დაწერილი ყველა წიგნი. ვის მოგზაურობა უყვარს და მხოლოდ სათავგადასავლო წიგნებს კითხულობს, ვის — იუმორისტობა და დეტექტივები ქვეყანას ურჩევნია; ვის ბუნებაზე დაწერილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წიგნი თუ გაიტაცებს... ეს დამოკიდებულება წიგნის ხასიათისადმი უთუოდ ისევ ბავშვის ინტერესებიდან და მისი, იქნებ ჯერ მისთვისაც გაუთვითცნობიერებელი მიდრეკილებებიდან მოდის. ეს ყველაფერი ალბათ როდესმე მის მოწოდებადაც, პროფესიადაც იქცევა... ამ კუთხიდან თუ შევხედავთ, ერთგვარი პროფესიული გზამკვლევის მისიაც გეკისრებათ. როგორ სწავლობთ წიგნისადმი სხვადასხვა ასაკის ბავშვთა დამოკიდებულებას, მათ მხატვრულ გემოვნებას, მოთხოვნილებებს?**

— ეს ფუნქცია ჩვენთან აკისრია წიგნის სახლს, რომელიც გამომცემლობასთან არსებობს. სწორედ მის მოვალეობებში შედის ბავშვებისა და მწერლების პერიოდული შეხვედრები, ქართული საბავშვო თუ ახალგაზრდული წიგნის პროპაგანდა და მკითხველთან წარდგენა. ეს შეხვედრები ჩვენი ორიენტირია: სწორედ მათი მეოხებით ვსწავლობთ ნორჩი ნიერების ცალკეულ დარგებში—მათემატიკაში, არქეოლოგიაში, ბიოლოგიაში. სულ მალე მათ არაერთი კარგი წიგნი დაემატება, მაგალითად „საუბარი ინფორმატიკაზე“, წიგნები ჩვენს დიდ მეცნიერებზე შალვა ნუცუბიძესა და ნიკო ბერძენიშვილზე, ზ. ჭუმბურიძის „ენა ჩემი ქართული“, კუბლიცკის „მთელი დედამიწა“, ბილაშვილის „ოკეანე“, ანდრეევის „წყალქვეშეთი ჩვენს ოთახში“. არ შეიძლება არ გამოვყოთ სამეცნიერო-პოპულარული ალმანახი „მთიები“, რომელიც მოზარდებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე მათთვის გასაგები ენით ესაუბრება; ვფიქრობ, ბავშვებისათვის ასეთივე საყვარელი ალმანახებია „ჯეჯილი“ და „ფრესკა“, რომლებიც საყმაწვილო ლიტერატურისა და მსოფლიო სახვითი ხელოვნების ცალკეულ ნიმუშებს აცნობს ჩვენს ნორჩ მკითხველს. ბავშვთა ინტელექტუალურ განვითარებას ემსახურება მის „ისტორიულ თხზულებებს“, აგრეთვე, იაკობ გოგებაშვილის ათ ისტორიულ მოთხრობას, „ზღაპრის გუდას“ მსგავსად ერთ ზიარ ყდაში ჩასმულთ; მოსე ჯანაშვილის „საინგილოს“, ჯურხა ნადირაძის „არქეოლოგიურ მოთხრობებს“.

**— თითოეული ჩვენგანი, ვის ოჯახშიც ბავშვი იზრდება, მეტნაკლებად ცდილობს ბავშვისათვის მისი ასაკის შესაფერისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევას, ამგვარად შეძენილი ცოდნით მისი კონკრეტული ინტერესისა და მიდრეკილების გაღრმავებას. ეს პრობლემა არ არის მხოლოდ ცალკეული ოჯახების პრობლემა, უპირველესად, ეს თქვენი პრობლემაა. მისი დაძლევის შესანიშნავ ფორმად მეჩვენება მრავალფეროვანი სერიული გამოცემები, რომელთა შედგენა-წარმოება უკვე რა ხანია დამკვიდრდა გამომცემლობის პრაქტიკაში. ახლახან საბავშვო ბიბლიოთეკის სამოცტომეულის პირვე-**



მკითხველის ინტერესებსა და მოთხოვნებს, ვეცნობით მათს სურვილებსა და წინადადებებს, ვითვალისწინებთ მათ შემდგომ მუშაობაში. ამ დიდ საქმეს ემსახურება ჩვენი ექვსივე რედაქცია. სწორედ ბავშვთა ინტერესების შესწავლამ დაბადა გარკვეულ ეტაპზე ამ რედაქციათაგან ერთ-ერთი — სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა. იგი ძალზე დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევა. სწორედ მისი მრავალმხრივი საქმიანობის შედეგია ყმაწვილთათვის საკმაოდ საინტერესო წიგნები მეცჩვენი სერიები „სერაფიტი“ და „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. ცოტა ზემოთ, ჩვენს სახელოვან ქართველ მეცნიერებზე დაწერილი წიგნები ვახსენეთ... ეს ხაზიც გაგრძელდება.

უეჭველია, ყველამ სიამოვნებით მიიღო ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაძლიერების შესახებ. ამ სასიხარულო ფაქტსაც ვეპასუხებით: აკაკის საიუბილეოდ გამოვცემთ კარგად დასურათებულ **ლი ტომი მიიღეს საჩუქრად ჩვენმა მოზარდებმა. ეს მშვენიერი სერია ალბათ ნაწილობრივ მაინც მოხსნის ზემოთხსენებულ პრობლემას...**

— მართალი ბრძანდებით, ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი ტრადიციები გვაქვს. „ნაკადულმა“ უკვე გამოსცა თემატიკითა და მკითხველთა ასაკით ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე სერია: „იყო და არა იყო რა“..., „ჩემი პირველი ბიბლიოთეკა“. „მცირე სათავგადასავლო ბიბლიოთეკა“, „ჩვენი საუნჯე“, „ერთი მოთხრობის ბიბლიოთეკა“: გამოვე-

ცით „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების“ მრავალტომეული, „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეული, „ქართული პოეზიის“ ჩვიდმეტტომეული; დავამკვიდრეთ სერია „სიყვარულო, ძალსა შენსა“; უკვე გამოვიდა „ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეულის პირველი ხუთი ტომი. სხვათა შორის, მისი ტირაჟი 150.000-ია ისევე, როგორც თქვენს მიერ ზემოთ ნახსენები სამოცტომეულისა. მაგრამ მკითხველთა გარკვეული წრე ალბათ მაინც გულდაწყვეტილი დაგვრჩა. სამწუხაროდ, ყველას არ მიუწვდა ხელი მათ ხელისმოწერაზე. რაც შეეხება სერიას „ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“, ეს არის მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის ნაწარმოებთა ყველაზე თავმოყრილი გამოცემა ქართულ ენაზე. ამდენად, ვფიქრობ, რომ იგი სწორედ ზემოთხსენებული პრობლემის გადაჭრას მოემსახურება...

**— იქნებ სულ პატარებისათვის განკუთვნილ გამოცემებზეც გვიბრძანოთ მცირე რამ... ჩვენი სკოლამდელები უკვე შეეჩვივნენ „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ ლამაზად გაფორმებულ თითო ქართულ ხალხურ ზღაპარს. გასახარია, რომ ბოლო ხანს მოგვიმრავლდა სულ პატარებისათვის განკუთვნილი ამგვარი ფერადი წიგნები. წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდნენ ჩვენი ბავშობის საყვარელი გმირები — რასპეს ბარონი მიუნჰაუზენი, შარლ პეროს წითელქუდა და ჩექმებიანი კატა... მით უფრო იკვეთება მოთხოვნილება, მსოფლიოს საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები ერთ გამოცემაში თავმოყრილნი ვიხილოთ...**

— გამომცემლობა ფიქრობს ამ მიმართულებით არაერთი სიახლის დანერგვას. გაგიმხელთ ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის ყველაზე საინტერესო ჩანაფიქრსაც: გადაწყვეტილი გვაქვს შევქმნათ ჩვენი სამოცტომეულის მსგავსი ოცდახუთტომეული სერია — ჩვენს · პირობებში მაქსიმალურად კარგად დასურათებული გამოცემა, რომელიც სწორედ სკოლამდელებისა და უმცროსი ასაკის მოსწავლეების ინტერესებს მოემსახურება.

**— ბატონო ვახტანგ! ნება გვიბოძეთ, ცოტა შორი ასოციაციით დავიწყოთ... თქვენს წიგნში „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არის ერთი ადგილი, სადაც თქვენ ბატონ ივანე ჯავახიშვილის მიერ მიკვლეული ბრინჯაოს ხანის პატარა მწყემსი ბიჭის სამარხზე ლაპარაკობთ. აი, ეს ადგილიც:**

**„მახსოვს ამ საფლავის აღმოჩენის ამბავი. ეს იყო ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულში. პატარა მცხეთელი ბიჭის ძვალისძვლი სამარე და სამარეში ჩატანებული ხარი და სალამური! უნებურად ერთი ძველი ქართული ზღაპარი გახსენდება. ზღაპრის მიხედვით ბიჭის სახელი არ არის ჩვენთვის ცნობილი. ცნობილია ხარის სახელი, დიახ, წიქარა ჰქვიან ხარს. ბიჭის სახელი კი ჩვენ აღვადგინოთ. იქნებ მახარე ერქვა, იქნებ, ასეთი სახელი არცა ჰქონიათ მაშინ იმ ჩვენს უძველეს წინაპრებს, მაგრამ ჩვენ მაინც ასე ვუწოდოთ, მახარე შევარქვათ პატარა მცხეთელ ბიჭს...“**

**ერთი ძველი ქართული ზღაპარი მახსენდებაო... მეც გამახსენდა ის კარგი ზღაპარი და კიდევ ისიც, რომ ის პატარა მწყემსი ბიჭი ჩვენს საყვარელ საბავშვო გამომცემლობაში გამოცემული ყველა წიგნის თავფურცელზე შემხვედრია... ვის ეკუთვნის ეს ემბლემა?**

— მადლობელი გახლავართ ჩემი წიგნის გახსენებისათვის. რაც შეეხება ემბლემას... მისი ავტორი გახლავთ ცნობილი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბატონი ელგუჯა ამაშუკელი. ემბლემა გამომცემლობას აქვს, თუ არ ვცდები, 1960 წლიდან. იგი, ჩემის ფიქრითაც, მშვენიერია, არამარტო გრაფიკულად, იდეურადაც. ზედმიწევნით გამოხატავს ჩვენი გამომცემლობის ხასიათს, მიზანდასახულებას... წიქარაზე ამხედრებული პატარა ბიჭივით სიკეთისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლის მოთხოვნილებას უღვივებს მოზარდ თაობას...

**— ერთი ასეთი საკითხიც მაინტერესებს... მოგეხსენებათ ჩვენი რესპუბლიკის პოლიგრაფიული საბაზო მეურნეობის დაბალი დონე. თქვენი გამომცემლობა, თავისი სპეციფიკის გამო, ამ გარემოებას ალბათ სხვაზე მეტად განიცდის. გასაგებია, რომ ბავშვებს ყველაფერი ხარისხიანი უნდა შესთავაზო, მით უფრო, წიგნი, რომელიც არამარტო ამდიდრებს მათ ცოდნით, არამედ თავისებურად უყალიბებს კიდეც მხატვრულ გემოვნებას... უახლოეს ხანებში რა გარდაქმნებს შეიძლება ველოდოთ ამ მიმართულებით?**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

# დავით აღმაშენებლის ხეივანი

ეს — სიმღერა ტკბილი,
ეს — ნერგების ჯარი
მართლა როდი არი
მიწით ამომსკდარი, —

მხოლოდ გამრჯე ხელმა,
მხოლოდ ქუდზე კაცმა,
ჭაბუკმა და ბერმა,
ვინცა ვართ და რაც ვართ, —

ერუანტელის მოგვრად
(ნახეთ, შეიცანით),
შექმნა შეაკოკრა
აგერ, ხეივანი.

ხედავთ, რა დარია?
ხედავთ, წუთი რად ღირს? —
ხალხი მხატვარია
თავისივე ნატვრის!..

ყური უგდეთ მოტივს:
თვით დავითის მგვანი,
მხრებგაშლილი მოდის
ჩვენი ხეივანი.

შეცვარნამულ რტოებს
შვენით მიმოღუნვა;
ქვასაც შეათრთოლებს
ალერსი და ზრუნვა...

ნერგს სხვა ნერგი მისდევს —
ჩემიც ვთქვაო ბანი;
მშვენიერი ხმით ჟღერს
ხალხის ხეივანი.

უცხოდ არვის არ ვთვლი,
გავთქვი, რაც ვიგრძენი:
აქ მთლად საქართველო
გახლავთ მასპინძელი!

მირონცხებულ სახელს
ვინ დაუგდოს ვანი?
მადლის მოფენას ჰგავს
ჩვენი ხეივანი.

ახლა შთაგონება
როგორ უნდა შერცხვეს —
ლახავს გაქროლება
ზეცას, თუნდაც მეცხრეს...

ტოტს უბიძგებს ტოტი —
განი, ჰეი, განი!
დიდი ამბით მოდის
დიდი ხეივანი.

თითქოს ტაძარია:
შორს, ბოლოში, ლურჯად
თბილისის ცა ღია
სარკმელივით უჩანს...

ხედავთ, რა დარია?
ხედავთ, წუთი რად ღირს?
ხალხი მხატვარია
თავისივე ნატვრის!..

— თქვენ სწორი ბრძანდებით. ძალიან განვიცდით სათანადო პოლიგრაფიული ბაზის უქონლობას, მით უფრო, რომ გამოცემათა დიდი ნაწილი ფერად ილუსტრირებას გვთხოვს. ეს არამარტო ჩვენი, არამედ ჩვენთან შემოქმედებით კავშირში მყოფ მხატვართა პრობლემაცაა. ამ ბოლო დროს ვცდილობთ გავაფართოოთ კონტაქტები მოკავშირე რესპუბლიკების პოლიგრაფიულ ბაზებთან. ასეთი კონტაქტის ნაყოფია მინსკში გამოცემული ნოდარ დუმბაძის „ლექსებით სავსე ხურჯინი“ და გურამ პეტრიაშვილის „პატარა ქალაქის ზღაპრები“.

აქვე აღვნიშნავ ერთი სახელმწიფო დოკუმენტის შესახებაც. ამ დოკუმენტით — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1984 წლის დადგენილებით — ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფართო ღონისძიებები დაისახა. დადგენილებაში მითითებული იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ ქაღალდით უზრუნველყოფის საჭიროებაც. მას შემდეგ ხელი უფრო მოვიმართეთ. ინებეთ ციფრები: შარშანწინ ჩვენი სასტამბო ანაბეჭდი ფურცელი 36 მილიონს შეადგენდა, გასულ წელს ეს ციფრი გაიზარდა 41 მილიონამდე, წლეულს კი — 61 მილიონამდე. ეს უკვე შედეგებია. უპირველეს ყოვლისა, ამ ცვლილებათა წყალობაა, რომ ბოლო ხანებში „ნაკადული“ ყოველწლიურად 1300 თაბახის მოცულობის 150 დასახელების წიგნს უშვებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნებს საბავშვო წიგნზე ჯერ მაინც მთლიანად ვერ ვწვდებით. ამას ხშირად ემატება ხოლმე წიგნის ბეჭდვის ხარისხით თუ სხვა პოლიგრაფიული წუნით გაჩენილი უკმაყოფილებაც. ამ პრობლემებიდან გამოსვლას ვცდილობთ. უკვე დასახული გვაქვს რამდენიმე ღონისძიება და ვფიქრობთ, მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

**— და ბოლოს... რას უსურვებდით ჩვენს მკითხველს...**

— უპირველესად, სულიერ და ფიზიკურ სიჯანსაღეს, გონიერებას და აუცილებლად წიგნის სიყვარულს. ჩემო ბავშვებო, გიყვარდეთ წიგნი! დაგეფასებინოთ იმ ადამიანთა ამაგი, ვინც თქვენთვის წიგნსა ქმნის, ვინც მთელს თავის გულმოდგინებასა და სიყვარულს დებს თქვენს სამსახურში. ნიკო კეცხოველი ბრძანებდა: „მე ჯერ არ მინახავს და არც მეგულება კაცი, რომელსაც წყაროს და ნაკადულის ახლოს გაევლოს, არ შეჩერებულიყოს, ხელი არ დაებანოს, შუბლი არ გაეგრილებინოს, სიამოვნებით არ ავსებოდეს გული და მადლიანად არ გაეღიმოს“... კარგ წიგნთან შეხვედრაც ხომ ასეა.

ესაუბრა ნინო ხარაზიშვილი



# მწყემსი

**ვლადიმერ ასლამაზიშვილი**

მოთხრობა

მხატვარი **ჯემალ ლოლუა**

რათ მინდოდა, აფთარა უიმისოდ გავატანე. იმავე ღამეს გამოქცეოდათ ფერმიდან, იორი გამოეცურა და ბინაში მთლად სველი დაბრუნდა; მეორე დღეს მოვიდა მანქანით მეღორე მწყემსი და აფთარა ისევ წაიყვანა. ერთი თვე არ ჩანდა. მეგონა, ეგ არის, მიეჩვია მეღორეებთან-მეთქი. მოვტყუვდი. ერთ მშვენიერ დღეს ივრის პირას ცხვარს რომ ვარწყულებდი, იმ დროს წყლით გაწუწული მოქაქანდა. თან კისერზე გამობმული ჯაჭვი მოათრია. რო გენახათ, რა ამბავი ჰქონდათ ძაღლებს, სამივე ლოკავდა, დრუნჩებს დრუნჩზე ადებდნენ, მხიარულად წკმუტუნებდნენ, იყეფებოდნენ. საწყალი აფთარა იწვა მიწაზე, თავი დაეხარა, ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედია. ვიცი ნაწყენი იყო, ან ეგონა, გავუწყრებოდი და ისევ გავაგდებდი. შემეცოდა, შემრცხვა ჩემი თავისა, ეს რა სიბრიყვე ჩავიდინე, გაშინაურებული ძაღლი გავაჩუქე-მეთქი და მივედი აფთარასთან.

— ბოდიში, აფთარ, რაც იყო, იყო, მაპატიე. დარჩი ჩვენთან, არავისაც არ გაგატან, — ვთქვი ხმამაღლა და კისრიდან ჯაჭვი შევხსენი.

თითქოს გაიგოო, შემომხედა მადლიერი თვალებით, ადგა, წელში გასწორდა, თავი მაღლა აიღო, შეჰყეფა და მინდვრისკენ გაიქცა, უკან მხიარული ყეფითა და გნიასით ძაღლები მიჰყვნენ. აფთარამ ფართო წრე შემოირბინა, სხვებიც გაედევნენ, მერე უგანეს, წინ დაუხვდნენ და გამართეს ჭიდაობა, ხან აფთარა კოტრიალობდა ბალახებში, ხან გიშერა, ალმასა და თოლია. კარგა ხანს იჭიდავეს, დაიღალნენ და იქვე დაწვნენ დასასვენებლად.

როცა კიდევ მოაკითხეს მეღორეებმა, უარით გავისტუმრე. მარტო ის ჯაჭვი წაიღეს, აფთარამ რომ მოათრია.

როგორც იყო, ჩამეძინა. სიზმრად ის ვაგლახი ლაშიანი ვნახე. ვითომ გუგრუცანას თავში თოფი დაახალა და საცოდავს გრაფინივით დაუმსხვრია. ვაი-მეთქი, ვიყვირე და შეშინებულს გამომეღვიძა. ვნახე: სიზმარი იყო და გამიხარდა. ფანჯარაში ნამგალა მთვარე იხედებოდა. გუგრუცანას ეძინა, რაღაცით კმაყოფილმა ისევ ძილს მივეცი თავი. განთიადისას გამოვაჭყიტე თვალები. გარეთ საჩეხში მერცხლები ჭიკჭიკებდნენ. ბუდე ჭერთან ახლოს, ელექტრომრიცხველზე აქვთ დაშენებული და ოთხ ბარტყს ზრდიან.

რატომღაც მგონია, მერცხლები თავს ისე უშიშრად ვერსად გრძნობენ, როგორც მინდვრად მწყემსებთან. შინიდან გასულ კაცს, რომელსაც კვირეებითა და თვეობით მონატრებული ჰყავს შვილები, შვილიშვილები, მთელი ჯალაბობა, ბუდესთან მოჭიკჭიკე, ბარტყებზე ზრუნვით დაღლილ-დაქანცული მერცხლები სითბოთი და სიკეთით სავსე განწყობილებას უქმნიან.

თენდებოდა. ივრის ჭალაში, თითქოს შეჯიბრება გაუმართავთო, უთვალავი ფრინველი გალობდა, ყველა განთიადის მობრძანებას ესალმებოდა, ამ ლამაზი ივრის წყალ-ჭალას ღმერთის — დიდებული მზის ამოსვლას მოუთმენელი სიხარულით ელოდა.

აქ კი ფარეხის წინ ბაკში, ვიცი, ცხვარი უკვე აიშალა, ქვამარილის გოროხებთან ცილობა აქვთ, ხაოიანი, ცოხნისგან გამწვანებული ენებით ერთმანეთს მარილის ლოკვას არ აცლიან. ზოგი ბღავის, მოუთმენლად ელის საძოვრისაკენ გამგზავრებას; ჯერის მოლოდინში ძაღლებს თავი ერთად მოუყრიათ და თამაშობენ, მათი მხიარული ღრენისა და ყეფის ხმა მესმის.

დროა ავდგე. მწყემსის საქმე გარიჟრაჟთან ერთად იწყება. დილის ძილისა და ლოგინში განცხრომის დრო სად არის. ძილი სიკვდილის ძმა არისო, ხშირად გამიგონია უფროსი მწყემსებისაგან. ალბათ იმათ გასაგონად ამბობენ, ვისაც ლაზათიანად უყვარს გამოძინება და საქმე უკან რჩება. ივრისპირეთში ერთი ნუკრიანელი მწყემსი ჩონგურზე ასეთ სიმღერას დასძახოდა:

მწყემსსა დედა აღვიძებდა
განთიადის ალიონზე:
ცხვარი უპატრონოდ არის,
გაიღვიძე, შვილო, დროზე.
ძილი სიკვდილის ძმა არი,
ცხვარს პატრონობა სჭირდება,
მაშინ ველარას უშველი,
მტერი კარს რომ მოგადგება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ. შორიდან გიმზერენ:
მგელი, არწივი, მელა,
ადექ, ცხვარი გელოდება,
შენგან მოელის შველას.
აიღე შენი მარჯვე თოფი,
სისხლ-მწოველებს დაახალე,
სალამურით შენი ცხვრები
მზის სხივებზე გაახარე.

გუგრუცანას ისევ ტკბილად სძინავს. ამ ლექსს მერე ვეტყვი, შეიძლება რვეულში ჩაიწეროს. სძინავს მშვიდად, არ მინდა გავაღვიძო, ჯერ მიუჩვეველია ადრე ადგომას, მაგრამ ხომ უნდა გაიტეხოს ძილი! ნათქვამია, ვისაც თევზი უნდა, ფეხიც უნდა დაისველოსო, რას იზამ, ასეთია მწყემსის ცხოვრება.

— გუგრუცან, გაიღვიძე, დროა! — გავძახე და საბანი გადავიძრე; ტანსაცმელი ახლოს მაქვს, სკამზეა გადაკიდებული, ჩაცმა საწოლზე ჩამომჯდარმა ვიცი. ჯერ ხალათს გადავიცვამ, მერე შარვალში გავყოფ ფეხებს, ვიცვამ წინდებს და ქალამნებს, ყველაფერ ამას ჯარისკაცური სისწრაფით ვაკეთებ. ერთ-ორ წუთში გამოწყობილი ვარ, პირის დაბანის მეტი აღარაფერი მინდა. გადმოვყავი ფეხები იატაკზე და თქვენს მტერს, რაც მე დამემართა, — ცივ წყალში არ ჩავაჭყაპუნე ფეხები! ეს რა ამბავია-მეთქი, ვიყვირე და გველნაკბენივით უკანვე საწოლზე გადავკოტრიალდი. გაოცებული ძირს ვიხედები: საწოლთან ძაღლების სალაფავის ასარევი ალუმინის ტაშტი დგას და შიგ წყალი ლივლივებს.

ამას ვინ გააკეთებდა გუგრუცანას მეტი; იმის საწოლისკენ ვიყურები, საბანი თავზე წაუფარებია და ფხუკუნებს, მთელი ტანი უძიგძიგებს სიცილისაგან.

— გუგრუცან, ბიჭო! — გავძახე.

საბანი გადაიძრო, თავი ჩემკენ გადმოღრიცა, თვალები უელავს, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, მიამიტად შემომყურებს!

— ეს ტაშტი შენ დამიდგი აქა?

— მე დავდგი!

— რატომ?

— წუხელ ფეხების დასაბანად შემოგიტანე! — ამბობს და თავს ძლივს იკავებს, რომ სიცილი არ წასკდეს.

— მერე მე როდის დაგავალე, ტაშტი მომიტანე-მეთქი. რატო არ მოიშლი მაგ მაიმუნობას? — ვთქვი და იმის საწოლზე გადავხტი. გუგრუცანამ საბანი წაიფარა. მაგრამ გადავაძრე და უკან რბილებში ერთი-ორი მოვარტყი.

იმის გულიან ხითხითზე მეც ამიტყდა სიცილი.

— ამ დღეს კიდევ რა ეშმაკობა გაქვს გუნებაში, რით გამახარებ, არსაითავ?

— დილის აბაზანა გეყოფა! — თქვა და შარვალი ჩაიცვა, კედები საწოლქვეშიდან რო გამოიღო, მეუბნება: — ხომ არ დაგავიწყდა, დღეს რომ ქალამნები უნდა ამომისხა?

— ეხ, არა ხარ ღირსი, მაგრამ რა ვქნა, პირი პირია! ოღონდ ეგ მითხარი, წუხელ მთელი ღამე თითქმის არ მიძინია. რა დროს მოახერხე ტაშტის დადგმა?

— გარიჟრაჟისას, შენ მაშინ გემრიელად ხვრინავდი!

— მე კი ვერ გამეღვიძებინე, ადრე ადგომას მიუჩვეველია. ცოდვაა-მეთქი.

— ძაანაც ნუ გამიფრთხილდები, ფირუზ, არ დამზოგო. ხომ ხედავ, დედიკოს ბიჭი არა ვარ!

— ვხედავ, ვხედავ! — ვთქვი და ეზოში წყლის ცისტერნასთან პირის დასაბანად წავედი. აღმოსავლეთიდან ცას ვარდისფერი წაჰკიდებოდა. მალე მზე ამოჰყოფდა თავს.

დილით რა საქმეც ადგილზე უნდა გაგვეკეთებინა, ხელდახელ მოვაგვარეთ. გამოვაღეთ ბაკის კარი და რა სიხარული გველოდა, რას წარმოვიდგენდით — ჩაუხას ბატკანი მოეგო.

— ივნისში და ბატკანი? — ჰკვირობდა გუგრუცანა.

— ნაგვიანევია, ხდება ხოლმე, — ვთქვი მე.

პატარა ხომ მგლის ლეკვიც ლამაზია და კარგია, მაგრამ ბაკაკუნა (მაშინვე შევარქვით ეს სახელი) მეტისმეტად ლამაზი გახლდათ. მთლად თეთრი, ხუჭუჭი, ნაზი მატყლით იყო შემოსილი, მარტო პირი და საქოჩრე ჰქონდა შავი, თითქოს მური წაუსვიათო, იწვა დედის ფეხებთან და თავი ჩაექინდრა.

— რას ფიქრობ, ბაკაკუნა? — მიეფერა გუგრუცანა ბატკანს.

კოჭლმა ცხვარმაც მოიწადინა, ფარას გაჰყოლოდა. მაგრამ ჩვენ არ გავუშვით. ბინაში არავინ ვრჩებოდით და ბაკაკუნას მარტო ხომ ვერ დავტოვებდით.

— გუგრუცან, ჩაუხა დამიჭი!

— ამას ჩაუხას ეძახი? — მკითხა იმან.

— მწყემსები კოჭლ ცხვარს ჩაუხას ეძახიან ხოლმე. მოიცა, ჯერ წყლულზე შაბიამანი დავაყარო, მანამდე ხალხურ ლექსს გავიხსენებ, შეიძლება შენც იცი.

ჩაუხას ფეხი ცოტა მოშუშებოდა. ჩლიქებშუა შაბიამანი ჩავაყარე და შვილთან ერთად ფარეხში გამართულ კორაკანში მოვათავსეთ. კორაკანი გეცოდინება, რაც არი, მოწნული გოდორი ან კედელთან ფიცრით შემოზღუდული ადგილია, შიგ ახლადდაბადებულ ბატკანს დედასთან ერთად ჩავსვამთ ხოლმე მწყემსები, რომ სხვა ცხვარმა ჩვილი არ გათელოს. ცოტა მოჩიტდება თუ არა, საბატკნეში წვრილფეხობასთან გადავაბრძანებთ, ცივ ამინდებში იქ იმყოფება, მარტო საღამოთი, როცა დედიკოები საძოვრიდან დაბრუნდებიან, მცნობები ბატკანს მოსაწოვებლად მშობლებს ჩამოურიგებენ. თუ მზიანი, თბილი დღეებია, მაშინ დედაცხვართან ერთად ბატკანიც დაგვიდის საბალახოდ.

მე აბრეშუმივით ნაზი, ერთი იღლია თივა კანაფით კონად შევკარი და კორაკანზე ისე დავკიდე, რომ ჩაუხა მისწვდენოდა და ეჭამა.

— ლექსი უნდა გეთქვა ჩემთვის, — შემახსენა გუგრუცანამ.

— მოიცა, როგორ იწყება? ხო, დამიგდე ყური:

— კოჭლი, კოჭლი ჩაუხა,
ჩემი ცხვარი რა უყავ?
— ერთი მგელმა შემიჭამა,
ერთი ბატონს დავუკალ.

გუგრუცანამ ლექსი ზეპირად გაიმეორა. ფარეხის კარი გამოვიხურეთ და გარეთ გამოვედით. ცხვარი ეზოდან უკვე გასულიყო, საძოვრისკენ მიჩვეული გზით მოდიოდა და ჩვენც იქვე გავიმინდვრეთ.

გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა ივრისპირეთში იმისთანა ბალახი მოიყვანა, ავ თვალს არ ენახვებოდა. დაიწყო ზაფხული და ბალახი გულუხვობდა. სადაც წინა დღეს ცხვარმა გაიარა, თითქოს პირი არ დაუკარებიაო, ისე გამოიყურებოდა დილის სიოზე ტალღა-ტალღად მობიბინე ნამდაკრული ბალახი.

ცხვარი გორის კალთას შეეფინა. მე და გუგრუცანა დავწინაურდით, ავედით მაღლა და მაშინვე საქმეს შევუდექით. მე გუდიდან წყალში დამბალი ხარის ტყავი, ფიცრის ნაჭერი, წვერიანი დანა და ხის სადგისი ამოვიღე. გუგრუცანას ტყავზე წინდიანი ფეხი დავადებინე, ზომა ავუღე და ორი ცალი საქალამნე გამოვჭერი. ტყა-

ვი მოქნილი რომ ყოფილიყო, ხელით კარგა ხანს ვსრისე, დავარბილე, გავდე ფიცარზე და ჯერ საქუსლეები შემოვჭერი, მერე საჭვინტეები გამოვიყვანე. თასმის გასაყრელად გარშემო ახლო-ახლოს დანით დავჩხვლიტე. ამეებს რომ მოვრჩი, მე და გუგრუცანამ დარჩენილი ტყავი წვრილ, გრძელ თასმებად დავჭერით. მოვიმარჯვე თითისტარივით გათლილი ხის სადგისი და დავიწყე ქალამნის ამოსხმა ჭვინტიდან. დანით დაჩვრეტილ ადგილს სადგისის წვერით ვაგანიერებდი და შიგ თასმას ვუყრიდი. გუგრუცანა თვალს არ მაცილებდა, თითოეულ ჩემს მოძრაობას გაფაციცებით მოსჩერებოდა, აღარ მახსოვს, მერამდენედ მეკითხებოდა:

— ორივე ქალამანს დღესვე ამომისხამ, არა?

— დღესვე, აქ რა არის სახვალიო?

— მეც ახლავე ჩავიცვამ. მსუბუქებია, არა, ფირუზ?

— ქარივითაა!

გორს ქვემოთ, საიდანაც ჩვენ ამოვედით, მანქანის ხმა მოგვწვდა. გადავიხედეთ. ყვითელი „ჟიგული“ მოდიოდა მინდორ-მინდორ.

— ის არის! — თქვა გუგრუცანამ.

— ვინ?

— გუშინდელი.

— ლაშიანი?

— ისა, ხო!

— რა უნდა ამ დილაადრიანად იორზე, ვითომ ისევ სანადიროდ წამოვიდოდა?

— რა ვიცი!

— ჩვენი ნახვა ხომ არ მოენატრა?

— თოფი წავართვით და...

მანქანა გორის ძირში გაჩერდა. აღმართი იწყებოდა და მეტი ტარება შეუძლებელი იყო. ორნი გადმოვიდნენ. ერთი ლაშიანი იყო, მაშინვე ვიცანი, მეორე ჩვენი ფერმის გამგესავით მსხვილი, მხარბეჭიანი, ოღონდ უფრო ლოყებგაბერილი, ბუტაყა კაცი.

— ფირუზ, ორნი არიან! — თქვა გუგრუცანამ, თითქოს ვერ ვხედავდი.

მე ქალამანი და სადგისი ძირს დავდე და ბალახებში მიგდებული კავი ავიღე, რა ვიცი, რას მოიმოქმედებდნენ, მტერსაც დახვედრა უნდა და მოყვარესაც.

კავს გუგრუცანაც დასწვდა, გვერდში ამომიდგა.

— საკაიკაცო პირი არ უჩანთ, ფირუზ! ძაღლებს ხომ არ დავუძახო?

— ჯერ არ გინდა!

ორივენი ქაქანით ამოვიდნენ ჩვენთან. ის ბუტაყა მთლად ჭარხალივით გაწითლებულიყო, პირი ლეხჩივით დაეღო და ძლივს სუნთქავდა. არც ერთი არ მოგვესალმა, პირდაპირ დაიწყეს:

— ესენი არიან? — ჰკითხა ლაშიანს ბუტაყამ.

— ესენი! — თქვა ბრაზიანი ხმით ლაშიანმა. გუგრუცანას გაბოროტებული უყურებდა. — ცოცხალი ყოფილა ეს მაიმუნი. გუშინ სიკვდილი რომ მაიგონა, განა ვერ მივხვდი!

გუგრუცანა მშვიდად უცქეროდა, მერე, ვითომ ჩემს თვალში ჩირადაც არ ღირხართო, სტვენა დაიწყო.

— ეგე, ხომ ვამბობდი, მაიმუნია, უზრდელი! თფუი! — გვერდზე გადააფურთხა ლაშიანმა.

— არც შენა ხარ დიდი ვინმე, — ვთქვი და ცოტა განზე გავდექი, თუ რომელიმე შემომიტევდა, კავი მზად მქონდა.

— მა, აბა, უხდება, რასაც ეს აკეთებს, ეს ცინგლიანი?

— არც თქვენ გიხდებათ, რომ გამარჯობა არა სთქვით, — არ დავუთმე ლაშიანს.

— იმიტომ, რომ ორივენი უნამუსოები ხართ, გუშინ რა გააკეთეთ, დაგავიწყდათ?

— შენ რაღა ჰქენი, წესიერი, ნაღდი მონადირე ამ გამრავლების დროს ნადირ-ფრინველს თოფს ესვრის? — არც მე დავუთმე და პირში მივახალე.

გუგრუცანა კავს ხელებით ჩამოეყრდნო და თქვა:

— მგელი რომ მგელია, ნამდვილი მონადირე ეხლა იმასაც არ ესვრის!

— შენ ყბებს მოუჭი, მაიმუნო! — შეუტია გუგრუცანას ლაშიანმა.

ბუტაყა აქამდე ჩუმად იყო, გვისმენდა, ალბათ აღმართმა დაღალა და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ცოტა ქარი რომ ამოიღო, ისიც წამოეშველა ლაშიანს:

— კაცო, ვერ გამიგია, თქვენ მწყემსები ხართ თუ მეველეები, ვის საქმეში ეჩრებით. აკეთეთ თქვენი საქმე, რა გინდათ, რაზე იხდით სადავიდარაბოდ თავსა, ჰა?

არც იმ გაბერილს დახათრებია გუგრუცანა:

— რაკი მწყემსები ვართ, უკულმართობაზე თვალები დავხუჭოთ? ჩვენც ამ მიწა-წყლისა ვართ, განა სხვისა?

„ყოჩაღ, ბიჭო!“ — გულში შევაქე გუგრუცანა და იმის ნათქვამს ჩემიც მივუმატე:

— ამ მთისა და ბარის დაცვა და მოფრთხილება, მგონი ყველას ვალია, მწყემსისაც და მეცნიერისაც. ხელში კავი რომ გვიჭირავ და ცხვარს დავდევთ, ეგრე ნუ გვიყურებთ. მე საშუალო სკოლა დავამთავრე, ჯარი გამოვიარე და ცოტა რამ გამეგება ამ ქვეყნისა!

— მერე, ყაჩაღობა სად ისწავლე, სკოლაში თუ ჯარში? — შემომიტია ბუტაყამ.

— არსადაც არ მისწავლია!

— მა თოფი რათ წაართვი ამ კაცს? — თითი ლაშიანისკენ გაიშვირა.

— მოიცა, მე ვეტყვი, ფირუზ, — მითხრა გუგრუცა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ და ისეთი განრისხებული სახე ჰქონდა, მეგონა, გუშინდელივით ახლა ამ ბუტაყას ეძგერება მუშტებით-მეთქი. — თოფი რათ წაართვითო? არ გითხარით, რომ ახლა ნადირობის სეზონი არ არის? იმიტომ წავართვით, რომ წერო მოკლა, იმიტომ, რომ თოფით დაგვემუქრა, დაგხოცავთო, კიდევ იმიტომ, რომ... — სეტყვასავით დააყარა გუგრუცანამ, აღელდა, ნიკაპი უკანკალებდა, მეგონა, იტირებდა.

— კიდევ რა, მაიმუნო, კიდევ რა! — დაიცოფა ლაშიანი.

— რა და... ისა, რომ შენ ცუდი კაცი ხარ! — მიახალა გუგრუცანამ.

— უხ შენი!.. — ლაშიანმა გუგრუცანასკენ გაიწია.

— ახლოს არ მიხვიდე, — ვიყვირე მე და კავი მოვუღერე.

ბუტაყამ ხელი წაავლო, რა თოფისწამალივით აფეთქდები ხოლმეო, უსაყვედურა, მაგრამ ლაშიანი ვერ დაწყნარებულიყო, ახლა ჩემზე მოიტანა იერიში.

— ბიჭო, იცი, რა გითხრა? მაგ კავით მალ-მალე ნუ იმუქრები, თორემ ერთხელ სადმე ხელში ჩამივარდები და ამოგალეწავ მაგ ყბებს.

— კარგი, რა, ვალიკო, — გააჩერა ლაშიანი ბუტაყამ და ჰკითხა: — თოფით მართლა დაემუქრე?

— საცემრად იწევდნენ, კაცო. ამან კიდევ, — ჩემზე მოიშვირა თითი ლაშიანმა, — თითებში კავი დამცხო, თოფი გამაგდებინა ხელიდან, თორემ ამათ თოფს გავატანდი?

ბუტაყა მე მომიბრუნდა:

— კარგით, რაც იყო, იყო, მიეცით ამ კაცს თავისი თოფი და მოვრჩეთ ბაზარს.

— თოფი ჩვენ არა გვაქვს! — მივუგე მე.

— რაო? — თვალები გაუფართოვდა ლაშიანს.

— მეველემ წაიღო!

— როდის?

— გუშინ!

— მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ!

— ტყუის! — არ დაეჯერა ლაშიანს, — უნდათ თვითონ შეიტყაპუნონ ჩემი თოფი. ამათ მეტი რა მოეთხოვებათ, დღე და ღამე მინდორში ყრიან, ყაჩაღებივით არიან.

— ბასა ძიამ წაიღო, ვიცნობ, ეს თოფი ლაშიანისაო! — თქვა გუგრუცანამ.

ლაშიანმა ბრაზით კბილები გააკრაჭუნა.

— აჰა, რეებს კადრულობს ეს მაიმუნი, ლაშიანიო!

— ეგრე თქვა და...

— ეგრე თქვა, არა? — ლაშიანმა გუგრუცანასაკენ გაიწია, იმან უკან ისკუპა და შეჰყვირა:

— არ გაბედო, თორემ ძაღლებს დავუძახებ და თქვენს თავს დავაგლეჯინებ!

ბუტაყამ ალბათ იფიქრა, ემანდ მართლა ძაღლებს არ დააგლეჯინონ ჩვენი თავიო, ლაშიანს ხელი ხელში სტაცა.

— კაცო, ვალიკო, გამოდი აქეთ, პირი ვერ მოგიკუჭია? გეუბნებიან, თოფი ჩვენ არა გვაქ, მეველემ წაიღოო. წავიდეთ, ის კაცი ვნახოთ და მოველაპარაკოთ.

— ერთი კიდევ ის არი რა! — ხელი უიმედოდ ჩაიქნია ლაშიანმა, ბუტაყას აღარ გასძალიანებია, ერთხელ კიდევ გადმოგვხედა მგლურად და ორივენი ფერდობზე დაეშვნენ, მანქანაში ჩასხდნენ.

შუადღემდე ორივე ქალამანი მზად მქონდა. გახარებულმა გუგრუცანამ კედები გაიხადა და ქალამნები ჩაიცვა. მოუხდა. რა კოხტა რამეებიაო, ამბობდა. თასმით ჩაგვირისტებულ, რქის წვერივით ამოხრილ ჭვინტებს



მალმალე დაჰყურებდა, კედები ერთმანეთს ზონრებით გადააბა და მთელი დღე მხარზე გადაკიდული დაჰქონდა.

●

რბილი პური გაგვითავდა. საღამოთი, ბინაზე რომ დავბრუნდით, ხმელი, გაკორაწებული პურის ნარჩენებით ვივახშმეთ.

— როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადი შაქარია, — ამბობდა გუგრუცანა და ხმელ პურს აკნაწუნებდა, ზედ ყველს ატანდა. — ხვალ რა გვეშველება, ვინ მოგვიტანს პურს?

— არავინ, ეხლა ჩვენ თვითონ გამოვაცხობთ! — დავაიმედე.

— მართლა? მაგისთანა რამე შეგიძლია?! — გაუკვირდა გუგრუცანას.

— მწყემსისთვის ბევრი რამის ცოდნაა საჭირო, მით უმეტეს, პურის გამოცხობა, პურისაც და ხმიადისაც.

— ხმიადი როგორია? მე არ მიჭამია!

— ხმიადი უსაფუვროდ ღადარში გამომცხვარი პურია. მაგარი, კარგად მოზელილი ცომი უნდა აიღო, დაამრგვალო სქლად, გადასჩხრიკო ცეცხლი, ჩასვა ღადარში და ზევიდან თურთქლი წააყარო. ეგრე დასტოვებ ან მთელ დღეს, ან მთელ ღამეს, ვიდრე არ გამოცხვება და არ დაიბრაწება. ისეთი გემრიელია, ჭამით ვერ გაძღები.

— შენ გიჭამია ხმიადი?

— მიჭამია!

— სადა?

— მთაში, მწყემსებთან!

— ეხლა რომლის გამოცხობას აპირებ, პურისა თუ ხმიადისა?

— პურისა!

— თონეში? — გუგრუცანამ ეზო მოათვალიერა, თონეს ეძებდა.

— არა, ფურნეში, აგე, სად არის! — ეზოში შეშის გროვის გვერდით აგურით აშენებული პატარა ფურნე დავანახვე.

— თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურასა ჰგავს, — გაიცინა ბიჭმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ვიდრე მე ფქვილს გავცრი, წადი და გუშინდელ ადგილას ცეცხლი დაანთე, ქვაბით წყალი შემოდგი და გოხი მარილი ჩააგდე, — ვუთხარი გუგრუცანას. ის უმალვე გაიქცა.

მე საკუჭნაოში ვარცლი დავდგი. შიგ იმდენი ფქვილი გავცერი, რომ პური მთელ კვირას გვყოფნოდა.

გუგრუცანამ ცეცხლი გააჩაღა, წყალი გაათბო. მარილად ვნახე, კარგი იყო. დარჩენილი მარილი ამოვიღე, აქეთ-იქით გაწეულ, ამოღრმავებულ ფქვილში წყალი ჩავასხი.

— უსაფუვროდ აცხობ? — მკითხა გუგრუცანამ.

— არა, აი, ამით! — ვთქვი და თაროდან თიხის ქოთანი გადმოვიღე და გუგრუცანას ცომის ხაში — საფუარი ვუჩვენე. ხაში ქოთნის პირთამდე ამოფუვებულიყო და მჟავე მაწვნის სუნი უდიოდა.

— დედაჩემიც სულ ხაშით აცხობს პურს, უფრო გემრიელია და დიდხანს სძლებს, მალე არ ობდება.

ხაში ხელით ამოვიღე ქოთნიდან და ვარცლში ჩავდე, წყალში იქამდე ვჭყლიტე, ვიდრე შიგ არ გაიქნა, მერე მივყავი ხელი, ფქვილი გადავურიე და ცომი მოვზილე. ზემოდან ფქვილი გადავაყარე; თბილად რომ ყოფილიყო და კარგად გაფუებულიყო, ტომარა დავაფარე. პატარა ხის გობში წყალი ჩავასხი და შიგ ხელები ჩავიბანე.

— მეტყოდი, წყალს დაგისხამდი, — მითხრა გუგრუცანამ.

— რათ მინდა წყლის დასხმა, ცომიანი ხელის ნაბანის დაღვრა წესი არ არის, თორემ აგე, იქ არ არი ცისტერნა? ონკანიდან დავიბანდი, — მივუგე მე.

— ხელის ნაბანი რაღათ გინდა?

— ბებია ცომიანი ხელის ნაბანს არასოდეს არ ღვრიდა. ნაბანი რომ დაღვარო, პურის მადლი გაგიწყრებაო. წაიღებდა და ძროხას დაალევინებდა, ან ქათმებს ჭურჭელში ჩაუსხამდა. ეს ალბათ პურისადმი პატივისცემამ და სიყვარულმა ასწავლა. მოდი, ჩვენც დავიცვათ ძველი ადათ-წესები. რაც მამაპაპურია და კარგია, რატომ უნდა დავივიწყოთ?

— მომეცი ეგ გობი!

— ძაღლებს გეჯაში ჩაუსხამ?

— არა, ჩაუხას წავუღებ, დღეს წყალი არ გვიჩვენებია, დავალევინებ!

— სწორია! — მომეწონა გუგრუცანას ჩანაფიქრი და იმანაც გობი ფარეხისკენ წაიღო.

ცომი მზად გვქონდა. ვიდრე აფუვდებოდა, ფურნეში ცეცხლი გავაჩაღე. ხმელი რცხილის შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო, ფურნის ბუხრიდან მელანივით კვამლი აისვეტა, საღამოს ბინდბუნდით შემღვრეულ ცისკენ უთვალავი ნაპერწკალი აიყოლა.

გუგრუცანა ფარეხიდან რომ დაბრუნდა, ფურნე იმას ჩავაბარე, შეშა არ მოაკლო-მეთქი, მე ისევ ცომს მივუტრიალდი, ვარცლიდან დიდრონ გუნდებად ამოვიღე და საფანელიან ვარცლის თავზე დავაწყე, მერე ისევ ფურნესთან მივედი, საკირესავით გახურებულიყო. გუგრუცანას ლოყები თურაშაული ვაშლივით დასწითლებოდა.

— ეყოფა, — ვთქვი და რკინის ნიჩაბი ავიღე, ფურნიდან ცეცხლი ამოვყარე და ხეზე მიბმული ჩვრით ნაცარი გამოვწმინდე. გუგრუცანამ და მე ვარცლი ფურნესთან მივიტანეთ. ხის ნიჩაბზე ცომის გუნდას ვდებდი სათითაოდ და ფურნის შავად დაღებულ ხახაში შემქონდა, ერთმანეთის გვერდით ვაწყობდი. გარედან შესულ ჰაერს ფურნე რომ არ გაეციებინა, პირზე რკინის თხელი სარქველი მივაფარე.

— ამოკრული პური გაგიგონია? — მეუბნება გუგრუცანა.

არ ვიცოდი, რა იყო ამოკრული პური და, არ გამიგონია-მეთქი.

— მე კი გამიგონია და მიჭამია კიდეც, ამას წინათ დედაჩემმა გამოაცხო.

— აბა მითხარი, როგორია ეგ ამოკრული პური? — ვთქვი და ასტამით ვარცლს ფხეკა დავუწყე, გუგრუცანა საფანელს აგროვებდა.

— ამოკრული პური ჩვეულებრივია, მარტო სახელი აქვს ასეთი, რადგან თონეში კი არ ჩააკრავენ, სიგრძეზე ჩაკრულ შოთპურებსა და მათ შორის გასწვრივ დარჩენილ ადგილზე ამოაკრავენ ხოლმე, გაიგე? — მეკითხება ის და საფანელზე მიჩვენებს, — ამას რაღას უზამ?

— ნახავ, — მივუგე და ანაფხეკი ცომი საფანელში გადავზილე, გადავაგუნდავე. მინავლებული ცეცხლი ჯოხით გავწი-გამოვწიე და ის გუნდა ღადარში ჩავსვი, ზევიდან თურთქლი დავაყარე.

—ფურნეში გამომცხვარ პურთან ერთად ხმიადიც გვექნება. კიდევ რის გაკეთებას აპირებ, ფირუზ? — ამბობს გუგრუცანა.

— რაც დღეს გავაკეთეთ, საკმარისია.

— მაშინ წავალ და ტელევიზორს ჩავრთავ, ოღონდ ფურნიდან პურს უჩემოდ ნუ გამოაწყობ, დამიძახე რა, კარგი?

— კარგი!

გუგრუცანა წითელ კუთხეში გაიქცა, მე ფურნის გვერდით შეშაზე გადავწექი, ხელები თავქვეშ ამოვიდე და ვარსკვლავებით სავსე ცას ავხედე.

— უუუ! — შორს, იორგალმა თუ გამოლმა მგელმა დაიყმუვლა. სადღაც ძაღლები აყმუვლდნენ, იმათ ჩვენმა ქოფაკებმა მისცეს ბანი. შეიძლება ამაღამაც მოვიდეს ფერმასთან ის ტიალი.

ვარსკვლავიანმა ცამ, მგლის ყმუილმა და ძაღლების ყეფამ სევდა მომგვარა. სახლი, მშობლები და უმცროსი და-ძმები მომანატრა. რა ხანია, შინ არ ვყოფილვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მეტი არავინ იყო ფერმაში და ცხვარს უპატრონოდ ხომ არ დავტოვებდი. იქნებ ახლა მეშველოს, გუგრუცანა მოვიდა. მთელი ზაფხული ბრიგადაში ვიქნებიო, მპირდება. სამი თვე კარგი შეღავათია ჩემთვის, სულ რომ არაფერი, მარტო არ ვიქნები, მერე რა ღმერთი გაუწყრება ფარნაოზას, რომ ვინმე არ წამომაშველოს.

რა კარგი ბიჭია გუგრუცანა. საზრიანი, ყოჩაღი, დაუზარელი. ვიდრე ჩემთან ფერმაში იქნება, ძმასავით მეყოლება, არავის დავაჩაგვრინებ. ხვალ პარასკევია, ხვალ არა და, ზეგ, შაბათს ვთხოვ, ერთი ღამე უჩემოდ მარტო დარჩეს აქ, რა უშავს: არც ისეთი პატარაა, რომ შეშინდეს. ძაღლები იმისთანა მყავს, ფერმასთან არც ნადირს მოუშვებენ, არც ქურდს. თვითონ როცა მოიწადინებს, შინ მაშინ გავუშვებ. მე სოფელში წავალ. კვირა დღეს იქ ვიქნები, კვირა დღე იმიტომ მინდა, შეიძლება თბილისიდან ნინო ჩამოვიდეს, იქნებ სადმე თვალი მოვკრა. ამას წინათ ჩვენი სოფლის კლუბის წინ თავის მეზობელ გოგოსთან ერთად შემხვდა. ისიც ლამაზი, მოხდენილია, მაგრამ ნინოსთანა მაინც ვერ არი. მოვიდა ნინო და ხელი ჩამომართვა, როგორა ხარო, ცხვარი როგორა გყავსო. უცებ დავმუნჯდი, ენა ჩამივარდა მუცელში. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ხმა ძლივს ამოვიღე. შემატყო, რომ ვღელავდი, გაიცინა და წავიდა, მეზობელ გოგოს ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა. ორივემ უკან მოიხედეს და აკისკისდნენ. ნეტავი რა უთხრა იმისთანა? ალბათ სასაცილო შესახედავი ვიყავი და იმიტომ იცინოდნენ.

ვარ ამ ფიქრებში, ფურნე მთლად დამავიწყდა. კიდევ კარგი, გუგრუცანამ ბინიდან გამომძახა: პური ხომ არ გამოცხვაო. უმალ ფეხზე წამოვხტი. ფურნეს პირს რკინის სარქველი მოვხსენი და იქიდან ცხელ ორთქლთან ერთად ახალგამომცხვარი პურის სუნი გამოვიდა. ფურნის შიგნით იმ სიბნელეში პურს მაინც თავისი შუქი გადასდიოდა. ხის ნიჩბით ერთი ცალი გოგორა გარეთ გამოვაცურე. სასიამოვნოდ დაბრაწულიყო, სიმაღლეში და სიგანეში მოემატნა.

მოვიდა გუგრუცანა. პურს დახედა.

— უჰ, რამხელა გამხდარა! — თქვა და ვეღარ მოითმინა, ცოტა მოატეხა. თითები დაეწვა. ხელიდან ხელში გადაათამაშა და პირში იკრა. პირიც დაეთუთქა, ლოყებგაბერილი ენაბლუსავით ასლუკუნდა, ვერ გავიგე, რის თქმა უნდოდა.

მე ნიჩბით ფურნიდან პური გამომქონდა, გუგრუცანა ვარცლში ალაგებდა, თან პირი რომ გაეგრილებინა, ფართოდ გაეღო და ღრმად სუნთქავდა. პურს კიდევ წაატეხა ლუკმა.

— გემრიელია. ცხობის ოსტატი ყოფილხარ, ფირუზ, — შემაქო და ლუკმა პირში შეიგდო.

პურით სავსე ვარცლი საკუჭნაოში შევიტანეთ. პური ჭერიდან ჩამოშვებულ მავთულებზე დაკიდულ ლასტის თაროზე დავაწყეთ, რომ ნიავს გაევლო და თაგვიც ვერ მიჰკარებოდა.

ცხელმა პურმა თვალი წაგვტყუა, არა გვშიოდა, მაგრამ ერთად მოვულხინეთ, ვჭამდით მადიანად და თან აქეთურ-იქეთურზე ვმუსაიფობდით.

— პური რომ არ მოეგონათ, რა გვეშველებოდა! — თქვა გუგრუცანამ.

— სხვა რამეს გამოიგონებდნენ.

— თუ გამოსაგონი იყო, წინ რაღა დაუდგებოდა ადამიანს, გამოიგონებდა. პურისთანა მაინც ტყუილია!

— პური არსობისაო, იმიტომ ამბობენ.

— ადამიანის გარდა რაღას არ უდგამენ ძეგლს. გამიგონია, საფრანგეთში კარტოფილს დაუდგეს ძეგლი, როგორც პურის შემდეგ ყველაზე ძვირფას საკვებ კულტურას!

— იქნებ პურსაც დაუდგეს ძეგლი, რა იცი!

— არა მგონია!

— შენ რომ მოქანდაკე იყო, როგორ ძეგლს აუგებდი პურს?

— მე რომ მოქანდაკე ვიყო? — გუგრუცანა ცოტახანს ჩაფიქრდა, — გავაკეთებდი ქართველი გლეხი კაცის ქანდაკებას, აი თუნდაც ისეთს, კინოფილმ „ჯარისკაცის მამაში“ რომ არის. წინ დიდრონი, ნაჯაფარი ხელები ექნებოდა გამოწვდილი და იმ ხელებს ოქროს თავთავებით ავუვსებდი.



— უკეთესს ვერ მოიფიქრებს კაცი! — მოვუწონე გუგრუცანას და წითელ კუთხეში შევედით.

ელნათურით გაჩახჩახებულ მაგიდაზე გადაშლილი რვეული იდო. გუგრუცანამ ხელში აიღო, დახურა.

— რას წერ, ბიჭო, ამდენს გუშინ და დღეს? — ვკითხე.

— საიდუმლოა, — თქვა და რვეული საძინებელ ოთახში წაიღო. იმ ღამეს მკვდარივით, უსიზმროდ მეძინა.

●

შაბათს, შუადღისას, მეცხოველეობის ფერმების მომმარაგებელმა, შოფერმა ქიტესამ, მანქანაზე მობმული ცისტერნით წყალი, ფქვილი, მაკარონი, ზეთი და ხახვი მოგვიტანა.

გუგრუცანას ვუთხარი, შინ უნდა წავიდე-მეთქი. ბრიგადის მთელი ავლა-დიდება ჩავაბარე და შევეხვეწე, ყურადღება მიექცია, რომ ცხვარი არ დაჰფანტვოდა. ყოველი შემთხვევისათვის თოფი და რამდენიმე ვაზნაც მივეცი, გქონდეს. პატარა აღარა ხარ, რა გაფრთხილება გინდა, მაგრამ მაინც თოფს ტყუილუბრალოდ ნუ აიღებ ხელში, მაგას ხუმრობა და თამაში არ უყვარს-მეთქი.

შენ არხეინად იყავი, ცხვარს არაფერი გაუჭირდება, — მითხრა და ვატყობდი, უხაროდა კიდეც, მარტო რომ რჩებოდა.

მე ქიტესას კაბინაში ჩავუჯექი და სოფელში წავედი. გუგრუცანამ თავის დედასთან წერილი გამატანა. მარინე დეიდამ რომ გაიგო, ბიჭი იორზე მარტო დარჩაო, სულაც არ გაჰკვირვებია! კარგია, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიეჩვევა, ჭკვიანი ბიჭი მყავ, ენაცვალოს იმას დედაო. მერე მითხრა, როცა წახვალ იორზე, გამოიარე, ბიჭთან წერილს და რაღაც-რაღაცებს გაგატანო.

სახლში ჩვენების ნახვით გავიხარე. ჩემზე უმცროსი მერვეკლასელი და მყავს და ორიც ტყუპი ძმა, ხუთ-ხუთი წლისანი. ძლივს დავაღწიე თავი ტყუპებს, ხან მუხლებზე მესხდნენ ბიჭები, ხან კისერზე მაცოცდებოდნენ, ჩვენ როდის უნდა წაგვიყვანო იორზე ბეკეკებთანო, ტიტინით ყურები გამომიჭედეს.

გვიან საღამოთი ნინოანთ წინ ქუჩაში ავიარ-ჩავიარე, ჯარის წყალს მოწყურებულივით რამდენჯერმე დავეწაფე. ფეხს ვიბორძიკებდი და თვალი იმათი სახლისკენ მეჭირა. აივანზე არავინ ჩანდა. ეზოში იმისი ღრმად მოხუცი, ბრმა პაპა ჩაფიქრებული იჯდა სკამზე. მარტო წყლით გაჭყეპვა შემრჩა. ნინო არ ჩანდა. ვერც მეორე დღეს მოვკარი თვალი. თბილისიდან არ ჩამოსულიყო. ტყუილად ხომ არ ვიღერღეტებდი სოფელში და კვირას გამვლელ მანქანას ივრისკენ გავყევი. ბინაზე ისეთ დროს მივედი, გუგრუცანას ცხვარი საძოვრიდან მოერეკა.

მოვიდა, ხელი ჩამომართვა. შინ როგორ არიანო, მკითხა. მე მარინე დეიდას გამოტანებული წერილი და რაღაცებით სავსე ცელოფანის პარკი მივეცი.

— ცხვარი ხომ არ დაგფანტვია?

— არა, ერთი ყურიც არ მაკლია!

— მოდი, ბერაში გავატაროთ, დავთვალოთ!

— არ მენდობი?

— როგორ არა, მაგრამ ძმამ ძმას ანგარიში უყო. ისევ ძმებად დარჩნენო, მაინც დავთვალოთ!

გუგრუცანამ წერილი ჯიბეში ჩაიდო, მერე წავიკითხავო. მე ბაკის კარი ისე გამოვაღე, ცხვარი თითო-თითო შესულიყო შიგ. დავდექი იქვე და ბაკში შესულ ცხვარს თვლა დავუწყე.

— ერთი აკლია.

— არც ერთიც არ აკლია! — თქვა გუგრუცანამ დარწმუნებით.

— ზუსტად დავთვალე!

— ჩაუხა?

ჩაუხა ისევ კორაკანში გვყავდა გამომწყვდეული.

— მართლა, ჩაუხა არ მიმითვლია, სწორია! — გუგრუცანას ხელი გავუწოდე, მაგრად ჩამოვართვი, შევაქე, კარგად გიმწყემსია-მეთქი.

— ცხვარი არ გვაკლია, მაგრამ ძაღლი დაიკარგა! — მითხრა გუგრუცანამ.

— რომელი? — ბინის წინ წამოწოლილ, ჯერის მომლოდინე ძაღლებს გავხედე.

— გიშერა.

გიშერა მართლა არ ჩანდა.

— როდის შენიშნე, რომ გიშერა აღარ იყო?

— დილას, ცხვარი საძოვარზე რომ გაიშალა.

— რაღაც ამბავია იმის თავს!

— მგელმა ხომ არ გაიტყუა? წუხელ იმისი ყმუილი ახლოდან ისმოდა.

— რა ვიცი, ძან კი შემოგვეჩვია ის ოხერი!

უცებ გუგრუცანას სახე გამოუცოცხლდა!

— აგე, ბიჭო, გიშერა!

ძაღლი ფარეხის უკანა მხრიდან გამოვიდა, მოვიდა ჩვენთან კუდის ქიცინით, თითქოს იღიმებაო, ლაშებს მაღლა ეწეოდა, კბილებს აჩენდა, ალერსიანი თვალებით შემოგვცქეროდა.

— რა უხარია? — ვთქვი მე.

— ჯერ ეგ ჰკითხე, სად იყო!

— სად იყავი, ძაღლო!

— გველაქუცება, დაკარგული რომ ვიყავი, არ გამიწყრენო, — გუგრუცანამ ყურის ძირი მოფხანა ალერსიანად.

გიშერა შეცვლილი მეჩვენა. ფერდები შესცვივნოდა, ძუძუები ძირს ჩამოეშვა, მივხვდი, რაც დამართოდა.

— ლეკვები დაუყრია, იმიტომ იყო დაკარგული.

— რას ამბობ, მართლა? — გაუხარდა გუგრუცანას.

— წავიდეთ, ვნახოთ, რა, ფირუზ?

გიშერა ახლოს მოვიდა, ჩემს წინ მიწაზე გაწვა, ჩუმად წკმუტუნებდა, გადაკოტრიალდა ზურგზე და თათების სავსავით შემომცქეროდა.

— ჰგონია, გავუწყრებით, დღეს ფარას რატომ არ მოემსახურე-მეთქი, — ვთქვი და ძაღლს მეც ყურები მოვფხანე. ემა, მადლობის ნიშნად ხელი ამილოკა. მერე ადგა, დაიყეფა და ფარეხისკენ გაიქცა, თან უკან-უკან იხედებოდა, მოუსვენრად აქიცინებდა კუდს.

— ლეკვების სანახავად გვეპატიჟება, — ვუთხარი გუგრუცანას.

— ეშინია, მოდი ჯერ ვაჭამოთ. იმ ძაღლებსაც შიათ, გველოდებიან, — მირჩია იმან.

— არა, ლეკვები ვნახოთ, გიშერას ასე უნდა, ნუ გავაწბილებთ.



# პიონერული ორგანიზაციების ალბომი




### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა

დიმიტროვის სახელობის პიონერული ორგანიზაცია „სეპტემბრიიჩე" შეიქმნა 1944 წლის სექტემბერში, გიორგი დიმიტროვის ინიციატივით. მასში გაერთიანებულია 7-10 წლის მილიონამდე ბავშვი. ისინი დაყოფილნი არიან 2 ასაკობრივ ჯგუფად: უმცროსები ჩავდარელები არიან, ხოლო 9 წლის ასაკიდან — სეპტემბრელები.

ქვეყანაში მიმდინარეობს პიონერული ლაშქრობა ბულგარული ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრ საწარმოში მოქმედებენ პიონერთა შრომითი გაერთიანებები.

საზეიმო შემთხვევაში სეპტემბრელები იცვამენ მუქლურჯ შარვლებს ან ქვედა კაბებს, თეთრ პერანგებს და ამავე ფერის ქუდებს ლომის გამოსახულებით. უკეთიათ წითელი ყელსახვევები. აქვთ სამკერდე ნიშანიც, რომელზეც გამოსახულია გიორგი დიმიტროვის პროფილი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ცეცხლის ალის სამი ენა, როგორც კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების ერთიანობის სიმბოლო. ლენტზე წარწერაა „მუდამ მზად ვარ!" ასეთსავე ფორმას ატარებენ ჩავდარელები, ოღონდ მათი ყელსახვევი ლურჯი ფერისაა.

ხელმძღვანელი ორგანოა დიმიტროვის სახელობის პიონერული ორგანიზაციის „სეპტემბრიიჩეს" ცენტრალური საბჭო. მისი მისამართია: სოფია, სტამბოლის ბულვარი. 11.

### უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა

უნგრეთის პიონერთა კავშირი, რომელიც 1946 წელს ჩამოყალიბდა, აერთიანებს 6-დან 14 წლამდე ასაკის 1 მილიონ 200 ათას ბავშვს. მათ შორის არიან კიშდობოშუკი (პატარა მედოლეები) — ათ წლამდე ასაკის გოგონები და ბიჭუნები, რომლებიც ამ ასაკის მიღწევისთანავე პიონერები ხდებიან.

რესპუბლიკაში რეგულარულად ტარდება პიონერთა სრულიად უნგრეთის პარლამენტები. ყველაზე საინტერესო წინადადებები, რომლებიც პიონერთა ცხოვრებას ეხება, ახალგაზრდობის საქმეების სახელმწიფო კომიტეტის განსახილველად გააქვთ. უნგრეთის პიონერული ორგანიზაცია არის სიმეა-ს გენერალური მდივანი.

მათ ასეთი ფორმა აქვთ: მუქი შარვლები (ქვედა კაბები), თეთრი პერანგები, წითელი ყელსახვევები; პატარა მედოლეებს კი ლურჯი ყელსახვევები უკეთიათ. პიონერულ სამკერდე ნიშანზე ეროვნული დროშის ფერების ცეცხლის სამი ენა გადაჭდობილია ალისფერ ჩირაღდანში, რომელიც თაობათა კავშირის სიმბოლოა.

ხელმძღვანელი ორგანოა — უნგრელი პიონერების კავშირის ეროვნული პრეზიდიუმი. მისი მისამართია, ბუდაპეშტი XIII, კუნ ბელა რაკპარტ, 87/88.

---

ორივენი ძაღლს მივყევით. გავედით ფარეხის უკან. იქ ერთ ადგილას კედელზე რამდენიმე შიფერი იყო მიყუდებული. მათ ქვეშ ქარისგან მიხვეტილ ჩალაბულაზე გიშერას ხუთი ლეკვი დაეყარა. ერთი დედასავით მთლად შავი იყო, ერთიც ჭრელი — შავ-თეთრი, სამს ჩალისფერი გადაჰკრავდა. ლეკვები ერთმანეთს მიხუტებოდნენ, ეძინათ.

გიშერა ლეკვებთან მივიდა, ფრთხილად წამოუწვა და ჩვენ შემოგვხედა, — ნახეთ, უცებ რამდენი შვილის პატრონი გავხდიო.

— მოგვილოცნია შვილიანობა! — ვთქვი მე.

— მგლებთან მეომარი ძაღლები გაგეზარდოს! — დალოცა გიშერა გუგრუცანამ. — შინ რომ წავალ, ერთ ლეკვს წავიყვან. მომცემ, ფირუზ?

— წაიყვა!

— რომელს გაიმეტებ?

— აირჩიე, რომელიც გინდა.

— აი, იმ შავს გამატან? სულ გიშერას ჩამოჰგავს!

— შენი ნებაა!

— მეც გიშერას დავარქმევ!

— ძალიან კარგი. ეხლა წავიდეთ, ძაღლებს მივხედოთ. გიშერ, წამოდი, გაჭამოთ.

გიშერა ადგა, აღარ მოგვიცადა, და ქოფაკებისკენ წაძუნძულდა.

ძაღლებს სალაფავი მოვუმზადეთ და გეჯებში გავუნაწილეთ. ყველაზე მეტი ულუფა გიშერას შევახვედრეთ, მაწოვარი იყო და მაძღრისად უნდა ეჭამა.

სხვა დროს ქოფაკები ერთმანეთს საჭმელში ეცილებოდნენ. ზოგჯერ ჩხუბიც მოსვლიათ. იმ დღეს კი, თავთავიანთი ულუფა რომ შესანსლეს, თითქოს იცოდნენო გიშერას დედობის ამბავი, მისკენ არავის გაუწევია, შორიახლოს წამოწვნენ და ძილს მისცეს თავი.

რაც იორზე გუგრუცანა მოვიდა, ჩვენს მწყემსურ სახლს სხვა ელფერი დაედო.

ზაფხულის დღე ხომ უსაშველოდ დიდია, საღამოთი ცხვარს ბაკში რომ დავაბინავებდით, ათასნაირ საქმეს გამოვიჩენდით ხოლმე.

პირველ რიგში ბინაში რაც ძველი პლაკატები და ათაპაპისდროინდელი ლოზუნგები იყო, ჩამოვხსენით. კედლები ჩამოვწმინდეთ, მტვერი, მჭვარტლი და ობლაბუდა მოვაცილეთ. იატაკი მოვრეცხეთ; სადმე თაგვის სორო თუ იყო, ფიცრის ნაჭრები დავაჭედეთ, დავგმანეთ. მაგიდებზე თეთრი ქაღალდები გადავაფინეთ, საკუჭნაო კოხტად მივალაგ-მოვალაგეთ, ყველა საგანს თავისი ადგილი მივუჩინეთ.

კოლმეურნეობის კომკავშირის მდივანმა პირობა შეასრულა, ნაირ-ნაირი პლაკატები, სურათები და წიგნები გამოეტანებინა ფერმის გამგისათვის. პლაკატებით და სურათებით შიგნით — ოთახებისა და გარეთ — საჩეხის კედლები დავამშვენეთ. მერცხლის ბუდის გასწვრივ, ელექტრომრიცხველის დაბლა, ორი მტკაველი სიგრძისა და სიგანის ფანერა ისე მივაკარით, რომ საჩეხის იატაკი სკორეთი აღარ დასვრილიყო. პირველად ბუდესთან რომ დაგვინახეს, მერცხლებს შიშის ალიაქოთი აუტყდათ. ჭყივილით დაჰქროდნენ ბუდის სიახლოვეს. იმათ განგაშზე, რაც ახლომახლო მერცხლები იყვნენ, იქ მოგროვდნენ.

წარმოდგენილი გაქვს, რა დაემართებოდათ ბარტყებს?! შიშით ბუდეში მთლად ჩაიკარგნენ, მარტო მაღლა აშვერილი, თეთრ არშიაშემოვლებული პირები და პაწაწინა შავი ნისკარტები მოუჩანდათ.

დასასრული მომდევნო ნომერში

ნინო ტუღუში მერვეკლასელი გოგონაა, მაგრამ მას უკვე საკუთარი პოეტური სამყარო აქვს, მშვენიერი მხატვრული სახეებით გვესაუბრება ნაფიქრსა და განცდილზე... გვწამს, რომ ნორჩი შემოქმედის ღვთით მომადლებული ნიჭი თანდათანობით გაიფურჩქნება და დაფრთიანდება. ამის საწინდარია ის ლექსებიც, რომელთაც ამჯერად გთავაზობთ.

### დ რ ო

თითქოს ფიქრების დაჰბერა ქიომ,
თითქოს წარსულის სანთელი ჩაქრა.
ბავშვობის დღენი უცნაურ რიდით
გაუჩინარდა მშვენიერ ზღაპრად.

### მაშინ, როდესაც...

მაშინ, როდესაც ფიქრი შეგიპყრობს,
წაგიყვანს მაღლა, წვიმის ღრუბლებში,
უცებ ოცნების ქარი დაჰბერავს
და წვიმის ცივი წვეთების ნაცვლად
მე დამეცემა შენი ცრემლები.
ახლა გრიგალი ამოვარდება,
დამიფრთხობს ფიქრებს, აი იმ ფიქრებს,
შენზე წვალებით რომ ვაკოწიწე.
შენ ის თვალები, ეშხით სავსენი,
გზას გინათებდნენ, როგორც ლამპარი;
დღეს სულ სხვა ეშხით,
სხვა გრძნობით სავსეს
სულ სხვა ფიქრებში წარმოუდგები,
გაიხსენებენ, ვინ იცის, რამდენს,
ღმერთს კიდევ რამდენს შეავედრებენ...
თითქოს ყველაფერს დასასრული აქვს,
მეც ამ სიტყვებით გზას გავუყვები.

### ს ა ს ა ფ ლ ა ო

შენთან ყოველდღე ვიღაცა მოდის,
ვიღაც მტირალი და მგლოვიარე,
გრძელ თმას გაიშლის და შავ თვალებზე
შეამჩნევ ცრემლებს, მდუღარე ცრემლებს.
იგი, მტირალი და მგლოვიარე,
ბნელი და ჩუმი, ვით ღამე წმინდა,
იგი, რომელიც შენს სულს დასტირის,
რომელსაც მისი განწმენდა სურდა.
ქალი მთვარის შუქს თვალს აარიდებს
და გაუყვება გრძნობათა ნავარდს,
ვინ იცის, იქნებ ველარც მოესწროს
იგი ზაფხულის მზის სხივთა თამაშს.
და სასაფლაოს კვლავ თეთრად ათოვს,
კვლავაც ილვიძებს წმინდა სურვილი,
ღმერთო, შეუნდე ქვეყანას ცოდვა
და მიუტევე დანაშაული.

### ს უ რ ა თ ი

სრულმა სიჩუმემ
მოიცვა მხარე,
იდუმალება ტყეს შეეპარა,
დამიფრთხო ჩემი
ოცნება მწარე
და მეც დუმილად გადამაქცია.
ყინვამ დახატა სურათი თოვლით,
თოვლით ხეები გადაიბარდნა.
წავიდა ნელა
ეს ჩუმი ღამე
და შფოთიანი დილა გათენდა.
უიმედობის გრძელი ზამთარი
ამ ერთ ღამეში შემოგვეპარა.
ასე მგონია, რომ ამ ავდარში
თეთრი ფიფქების თქეში წამოვა.

### გ ზ ა

მივდივარ მარტო
ვიწრო ბილიკზე,
ბავშვობის დღეებს
დასასრული აქვთ.
ფიქრების ნისლში
გზა მიმოკლდება
და თითქოს უმალ...
მეორე ჩნდება.
მეორე? დიახ,
გზა სირთულისა,
ბოლო ბილიკი
ცხოვრების დღეთა.
მერე, უფსკრული,
სადაც ვვარდები
მე ამ გზის შემდეგ.

●

ჩემი სულის საკანი,
სიყვარულის საგანი,
სიცივისგან საფარი,
სიყვარულის საყდარი.
ჟამთვითარებისგან
ცეცხლი გულში ჩამქრალი,
ჩვენი გრძნობა ერთ-ერთი,
ჩვენი თავმისაფარი.

●

შორ გზისკენ ვიხედებოდი,
მზესავით მეჩვენებოდი,
თვალში სხივივით გხვდებოდი,
ნეტავი, რად არ მელოდი?

ნინო ტუღუში,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, VIII კლასი.

## მობრძანდით და დარწმუნდით

დიდხანს ვფიქრობდი, მომეწერა თუ არა თქვენთვის ეს წერილი. ბოლოს გავბედე, გადავწყვიტე, ჩვენი სკოლის ყველა პიონერის საყვარელი მეგობარი — ჩვენი უფროსი პიონერხელმძღვანელი ზიზი გიორგაძე თქვენც გაგაცნოთ.

რაც პიონერი გავხდი, სკოლაში უკვე სამი პიონერხელმძღვანელი გამოვიცვალეთ. რა თქმა უნდა, ისინიც მოგვწონდა. თითოეული მათგანი თავისებურად ცდილობდა ჩვენი პიონერული ორგანიზაციის მუშაობის გახალისებას, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ნაკლი არაფერი ჰქონდათ. ზიზი ხელმძღვანელი კი სულ სხვაგვარია. მან სკოლაში რაღაც განსაკუთრებული ხალისი და გამოცოცხლება მოიტანა. მოვიდა თუ არა, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და თავისი ადგილი მოუძებნა, ჩვენი პიონერული საქმიანობა ახლებურად წაიყვანა. ჩემი თანატოლები რომ ამბობენ, უფროსები არ გვესაჭიროება, ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი ორგანიზაციის ბატონ-პატრონები და ჩვენვე გავუძღვებით ჩვენს საქმეებსო, მეც ამ აზრისა ვიყავი, ზიზი ხელმძღვანელთან მუშაობამ კი იგი შემირყია.



რამაზ
ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №2

იცით, რამდენი კარგი საქმე წამოვიწყეთ ზიზის თაოსნობით? ცნობები შევაგროვეთ ჩვენებურ პირველ კომკავშირელებზე, მოწინავე მშრომელებსა და ომის ვეტერანებზე, შევადგინეთ მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ალბომები; გავაძლიერეთ თემურელთა და წითელკვალმაძიებელთა მუშაობა...

გეგმები ძალზე დიდი გვაქვს. ამიტომაც არის, რომ არც ერთი თბილი სიტყვა არ მეშურება ჩვენი ზიზი ხელმძღვანელისათვის. ის რომ სკოლის პიონერთა სული და გულია, ამაში ჩვენთან სულ ცოტა ხნით სტუმრობაც დაგარწმუნებთ.

**ნათია მჭედლიძე,**
ზესტაფონი, პირველი სვირის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## კაკალი

ეს კაკლის ხე უკვე სამასი წლისაა. ეგ არაფერი, საკვირველი ის არის, რომ ერთხელაც არ მოუსხამს კაკალი. წელს კი კენწეროში ერთადერთი, ფეხბურთის ბურთის ტოლი კაკალი გამოიბა. ყველა ელოდა, როდის მოსწყდებოდა კაკალი კენწეროს. ეს სანატრელი დღეც, როგორც იქნა, დადგა. ბავშვებმა დავა დაიწყეს, ვის რამდენი უნდა შეხვედროდა ამ კაკლის გულიდან და კინაღამ ჩხუბზე გადავიდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მორიგდნენ და კაკალს ვეება ქვა დასცეს. იწვალეს და ძლივს გატეხეს. სიხარულით გადახსნეს კაკალი, მაგრამ... ცარიელი არ გამოდგა?

უნაყოფოს ნაყოფი გაგონილა?

**გიორგი ალხაზიშვილი,**
რუსთავი, მე-18 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## საღამო სოფლად

ნახევარი საათი იქნება, რაც მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. უცებ აგრილდა. ბავშვები ჟრიამულით გამოიშალნენ სოფლის ორღობეებში...

დრო გადიოდა და მზის შუქსაც ფერი ეცვლებოდა. ოქროსფერი ვარდისფერმა შეცვალა. კაშკაშა მზე ვარდისფერ დისკოს დაემსგავსა და საცაა, უზარმაზარი მთების წვერებს დაებჯინება, მერე კი თანდათან გაქრება.

აი, სოფლის ნახირმაც მოაბღავლა. ხბორებს მოუსვენრობა დაეტყოთ, ახლა ხომ უკვე მათი დედების მოსვლის დროა.

სახლებში შუქი აინთო. უკვე ჩამობნელდა და ეზოში მოთამაშე ბავშვებიც დაიშალნენ. მიწყდა სოფელში მხიარული შეძახილები, ჟივილ-ხივილი და ხმაური, სიმღერა-თამაში, ჟრიამული, ყოველივე ის, რაც სოფელს მხიარულებას მატებს. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს ღამის მგალობელი ფრინველების განუმეორებელი მელოდიები თუ არღვევდა...

**ქეთევან პაპუნაშვილი,**
გურჯაანი, მახარაძის საშუალო სკოლა, VII კლასი.



ნიღაბი
ამირან დოლიძე, 11 წლის

## ეჭვით არ უნდა შევბღალოთ

მე ადრე ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთის № 16 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. კლასში ოცდაათი მოსწავლე ვიყავით, თითქოს ყველანი ძალიან მეგობრულები. მაინც ჯგუფ-ჯგუფად ვიყავით დაყოფილები, შეუძლებელი იყო ყველასთან მეგობრობა. უფრო მეტ საერთოს ვპოულობდით გოგონები და ბიჭები, ვიდრე მარტო გოგონები ან მარტო ბიჭები.

მეშვიდე კლასში კი მშობლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის № 1 საშუალო სკოლაში გადამიყვანეს. აქაც მეგობრული კლასი დამხვდა. ერთმანეთთან კარგად ვართ, მაგრამ ამას კი ვამჩნევ: კლასში ზოგიერთები მეგობრებს უპირველესად, ჩაცმა-დახურვისა და მშობლების მდგომარეობის მიხედვით ირჩევენ. თანაც ესეცაა, აქ მასწავლებლები და მშობლები უფრო ეჭვით უყურებენ თანაკლასელი გოგონასა და ბიჭის მეგობრობას. ჩემი ფიქრით კი, მეგობრობა ძალიან წმინდა, ჰუმანური და სათუთი გრძნობაა. უმეგობრო კაცზე უბედური ქვეყნად არ მეგულება. მეგობრობის გრძნობა ნიჭია და ალბათ იგი ეჭვით არ უნდა შეიბღალოს.

**ელმირა თოდუა,**
ზუგდიდი, ნარაზენის 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## სურვილი

თავზე გადამეფენია
ცა ლაჟვარდი, კრიალა,
ლექსის წერა მინდება
და სიმღერა წკრიალა.
მინდა მათზე ვიმღერო,
ვინც გმირულად იარა,
ვინც ჩვენს დიად ქვეყანას
დაუამა იარა,
მთები, სივრცე დაეპყრო,
მქონდეს დროშა ფრიალა.

**ნინო ტურაშვილი,**
გორი, მე-10 სკოლა, X კლასი.

# საქმეები

## ბიზნესი



მიმდინარეობს ინტერკლუბ „წითელი მიხაკის“ მორიგი სხდომა

აკი ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორივ ხელით იჭმევაო, ჰოდა, რაკი თავიანთი საქმიანობის მნიშვნელობაც ესმით და მისი ავ-კარგისათვის პასუხისმგებლობის გრძნობაც აქვთ, ახალციხის რაიონული პიონერთა სახლის პედაგოგ-მასწავლებლები არსებულ არც თუ სახარბიელო პირობებში, დიახაც, რომ ბევრს ახერხებენ. მომცრო, ნაკლებად შესაფერის შენობაში შეყუჟულ პიონერთა სახლში ბევრი რამ კეთდება პიონერ-მოსწავლეთა მიდრეკილება-ინტერესების განვითარებისათვის, მათი სამომავლოდ დაკვალიანებისათვის. ამ საქმეს ემსახურებიან ნათელა ჯაფარიძე (დირექტორი), ტრისტან მესხი, ნათელა ჯიშკარიანი, ლია ქებაძე, მარინა შავრინა, დარეჯან მითაიშვილი, ლია ყურმაშვილი, დალი ბერიძე, რუბენ პიჯიმიანი, ლია კობესაშვილი, ლია სულუაშვილი, ლუდმილა რიბინა, მარინა უმეიანი, მალხაზ დიასამიძე. ზოგი მათგანი სულ ახალგაზრდაა, ბუნებრივია, მათ მუშაობის გამოცდილებაც ნაკლები აქვთ, ზოგიც მრავალი წელია მუშაობს ბავშვებთან. ყველას ერთობლივი საქმიანობის შედეგად კი ბევრი ახალციხელი ბავშვის ოცნება-ჩანაფიქრმა შეისხა ფრთა, ბევრმა გაიმდიდრა ცოდნა, გაიფართოვა თვალსაწიერი, შეიძინა საუკეთესო თვისებები და უბრალოდ, ცხოვრებაში გამოსადეგი ჩვევები, ბევრმა ირწმუნა მოქალაქეობრივი აქტიურობის დიდი მნიშვნელობა, შეძლო შეუცდომლად განესაზღვრა მომავალი ცხოვრების მიზანი.

პიონერთა სახლის წრეებში შეძენილი ცოდნა-ჩვევები გამოარჩევს დღეს აქ გაერთიანებულ მოსწავლეთა უმეტესობას დანარჩენი თანატოლებისაგან. გამოარჩევს თუნდაც მიზანსწრაფულობით, დროის სწორად განაწილების უნარით, ცოდნის სიმტკიცით, შემოქმედებითი აზროვნებით. აი, გინდაც ნორჩი ჟურ-



მერე ამ მოდელს ყველანი ერთად გამოსცდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალისტები ნინო ჩერქეზიშვილი, ნინო ნათენაძე, ირინე დიასამიძე, ინგა ბერიძე, ქეთევან ინასარიძე, თამთა ოკაშვილი, ელზა ზედგენიძე ავიღოთ. სწორედ რომ მოსაწონია ამ გოგონების ნათელი აზროვნება, შრომისმოყვარეობა. ზოგი მათგანის მცირე ნაღვაწი რაიონული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა და რესპუბლიკის პიონერულ პრესაშიც.

მარტო მეზობელ რაიონებში კი არა, ლამის მთელ რესპუბლიკაში იცნობენ ახალციხის პიონერთა სახლის დრამატული წრის წევრებს ანა ნიკოლაიშვილს, მაკა თათოშვილს, მამუკა წიკლაურს, ნატო სისვაძეს და სხვა ნორჩ მსახიობებს და მათ აღმზრდელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ლია სულუაშვილს. საყოველთაო მოწონებით სარგებლობს მათი სპექტაკლები „წითელქუდა", „მერხებზე ანგელოზები სხედან", „თხუპნია". თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა მსახიობებს „გასტროლებიც" ჰქონდათ — ბორჯომში, რუსთავში, თბილისში. ბევრი მათგანი ისე სერიოზულად არის თეატრით გატაცებული, რომ ადვილი შესაძლებელია სულაც მას დაუკავშიროს თავისი მომავალი ცხოვრება. საინტერესოდ მუშაობენ ნორჩი მხარეთმცოდნეები. მარტო მათ მიერ „საოქტომბრო ლაშქრობის" დროს შეგროვილი მდიდარი მასალა რად ღირს. მშობლიური რაიონის ისტორიასთან დაკავშირებული რამდენი საგულისხმო მასალა მოიძიეს, შეაგროვეს და გამოფინეს მათ პიონერთა სახლში. სამწუხაროა, ოღონდ, რომ მხარეთმცოდნეთა მიერ შეგროვილი ექსპონატების ნახვა ბევრმა ვერ მოასწრო. სწორედ ის ოთახი გამოდგა საბოლოოდ უვარგისი.

ვერც ნორჩი მხატვრების ნამუშევრებია სივიწროვის გამო სრულად გამოფენილი, მაგრამ თუნდაც ამ ორის — ზურაბ ჯინიუზაშვილისა და თამაზ ალავიძის ეს რამდენიმე ნახატიც კი უეჭველად მეტყველებს ყმაწვილების ნიჭიერებაზე; მათი მასწავლებლის მალხაზ დიასამიძის დიდ მოწადინებაზე.

სივიწროვე ავიამოდელისტებსაც აწუხებს. ამას ისიც ერთვის, რომ ავიამოდელისტთა წრისთვის საჭირო მასალები ძალიან ჭირს. მაგრამ ხომ გახსოვთ, რითი დავიწყეთ ახალციხელთა ამბის თხრობა — თუ გული გულობს... ჰოდა, წრის ხელმძღვანელი, პიონერთა სახლის ამაგდარი პედაგოგი რუბენ პიჯიმიანი მაინც პოულობს საშუალებას და ხელს უწყობს მოდელირების მოყვარულ ბიჭუნებს იჩიჩმაგურონ სახელოსნოში,ააწყონ მოდელები, გაეცნონ სპეციალურ ლიტერატურას. არა ერთი მფრინავის, კონსტრუქტორის თუ ინჟინრის გზა დაწყებულა აქ, ახალციხის პიონერთა სახლის ავიასამოდელო კაბინეტში, და ალბათ ყველა მათგანს ახსოვს სწორედ აქ დამზადებული თავისი პირველი მოდელი.

მრავალფეროვან მუშაობას ეწევა კომკავშირული მუშაობის ორგანიზატორთა წრე. უფროსკლასელთა რაიონულ კომკავშირულ შტაბ „მაძიებელში" გაერთიანებული მოზარდები ამჟამად დაკავებული არიან გარდაქმნის პროცესში თანატოლების მონაწილეობის საკითხებით. მათი სერიოზული, აქტიური პოზიცია გარდაქმნის მიმართ ნათლად გამოიკვეთა მრგვალი მაგიდის გარშემო

ქეთევან მიქაძე

## კაკლის ხე

ჰეი, გასულა თურმე რა ხანი —
ვერ ვიცან პაპას ნავენახარი!
დგას ხე კაკლისა,
ბრგე და მაღალი,
მზეს მხრებით სწვდება
და მზეც დაჰხარის.
მე დავაკვირდი კაკალს
მხრებგაშლილს
და პაპას სული შევიცან მასში.
აღარც პაპაა,
აღარც დიდედა, —
ჟამთასვლამ სწორედ ასე ინება.
მე პაპას დარგულ კაკალს
ვეხვევი,
და ჩურჩულებენ ირგვლივ
ვერხვები.
ტანი თბილი აქვს,
ფესვი — მაგარი;
ასე ლამაზი,
ასე მაღალი —
პაპა მგონია,
მზის ქვეშ დამდგარი.
სდუმს და ჩემს ალერსს
ჩუმად იფერებს
და მაგონდება პაპას სიბერე.



დავით მერაბიშვილი და ნატო სისვაძე სპექტაკლში „წითელქუდა".



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარში. „ჩვენ და გარდაქმნა“ — ასეთი იყო იმ საუბრის თემა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, არავინ დატოვა გულგრილი. შტაბის წევრია გარდაქმნის აქტივისტთა შეკრების დელეგატი მაკა კაჭკაჭიშვილი, რომელმაც არტეკიდან დაბრუნების შემდეგ ბევრი საგულისხმო რამ უამბო თანატოლებს. ახალციხელებს პიონერთა მეცხრე საკავშირო შეკრებაზეც ჰყავდათ დელეგირებული თავიანთი წარმომადგენელი — შტაბის თავმჯდომარე მიხეილ მაკარიძე. მიხეილიც მდიდარი შთაბეჭდილებებითა და საინტერესო ჩანაფიქრებით დაბრუნდა შეკრებიდან. შტაბის წევრთა ერთობლივი ნაფიქრალის შედეგები ალბათ მალე დააჩნდება ახალციხელი კომკავშირელებისა და პიონერების ცხოვრება-საქმიანობას.

მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პიონერთა სახლი, კერძოდ პიონერული მუშაობის წრე, რაიონის პიონერულ აქტივს. პერიოდულად ტარდება პიონერული რიტუალების გაკვეთილი, დისკუსიები მოსწავლეთა თვითმმართველობის, პიონერული ორგანიზაციის გარდაქმნის საკითხებზე, საჩვენებელი რაზმის შეკრებები და სხვ. პიონერთა სახლი პიონერხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, პიონერული კლასის ხელმძღვანელებსაც უწევს მეთოდურ დახმარებას, ცდილობს არ ჩამოარჩინოს ისინი პიონერული მუშაობის მნიშვნელოვან სიახლეებს.

დღეს ჩვენ ახალციხის პიონერთა სახლის მუშაობის მხოლოდ რამდენიმე მიმართულებაზე გიამბეთ, თქვენ ახალციხელ თანატოლთა მხოლოდ ერთი ნაწილის საქმიანობა გაგაცანით. არ იფიქროთ, სხვა წრეებში დასაქმებული გოგო-ბიჭები უინტერესოდ, მოსაწყენად ატარებდნენ დროს. უბრალოდ, გვინდა ვირწმუნოთ, რომ მომავალში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პიონერთა სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესაბამისად გამრავალფეროვნდება მისი მუშაობაც და მაშინ ჩვენც უფრო მეტი გვექნება სათქმელი.

მ. კარგარეთელი



# ზაზა ბაწელაშვილი 50

ორი ათეული წლის წინათ „პიონერში“ გამოქვეყნდა ზაზა ბაწელაშვილის პირველი საბავშვო მოთხრობა „კუსალია“. შემდგომ წლებში ამავე ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი სხვა მოთხრობებიც: „ხუთი თითი“, „მთვარის დაბადება“, „წარწერა ყავარჯენზე“, „თეთრი მაგნოლია“, „პატარა სახლის შუქი“, „ხელისგულიდან აფრენილი მტრედები“... წიგნებად გამოიცა ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებთა კრებულები.

„პიონერმა“ თავის მკითხველებს გააცნო ზ. ბაწელაშვილის საყმაწვილო ლექსებიც, რომელთაც საერთო მოწონება დაიმსახურეს.

ძარღვიანი, ხატოვანი ენით შთააგონებს ავტორი მოზარდებს მშობლიური გარემოს წრფელ სიყვარულს, საუკუნეებში გამოვლილი ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებას, უფროს თაობათა ნამოღვაწარის დაცვასა და პატივისცემას, განაწყობს ყოველივე არაადამიანურის, მანკიერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზაზა ბაწელაშვილს ახლახან დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ იუბილარ მწერალს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დღეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

ზაზა ბაწელაშვილი

## მოთხრობები

მხატვარი კარლო ფაჩულია

## სამი ნატვრა

ჩემი ბავშვობა ჩემი სოფლის ღელეებსა და მდინარე ლაკბეზე დანაკადულდა. ლაკბე პატარა მდინარეა, გომბორის მთის ფერდობებიდან და კლდეებიდან ნაჟური წყაროებით ნასაზრდოები. აქ, ყვითლად მოლაპლაპე ტინების ძირში გამოდიან ეს ცივი და კამკამა წყაროები. რამდენჯერ დავწაფებივარ მათ, წყურვილი მომიკლავს, შიშველი ფეხებით ამიჩქერებია უამრავი პაწია წყაროსაგან შეკრული, შეგვირისტებული, გაცოცხლებული, სულჩადგმული, მოუსვენარი ნაკადული, რომელიც საამო ლიკლიკით მიეშურება თავქვე და თითქოს ბუმბერაზ მთასა და მის მკერდზე აქოჩრილ ტყეს მიუმღერის, ღამღამობით კი ზღაპარს უყვება მონადირეზე, რომელმაც სალი კლდის გამოქვაბულში გამომწყვდეული მზეთუნახავი შეიყვარა და ამის გამო ეშმაკებმა კლდიდან გადაჩეხეს. იმ კლდის გულ-მკერდ-

დან რომ წყალი ჟონავს, ამბობენ, მზეთუნახავის ცრემლებიო. ზევით გორაკზე, სადაც წინაპართა საფლავებია, წმინდა გიორგის ეკლესია დგას. ღრმა ხეობას აქეთ-იქიდან კლდეები გადმოყუდებიან; ზოგან ძირს ჩამოქცეულა ნამეწყრალი მიწა, ზედ ამოსულა მაყვალ-ბარდი, ჯაგრცხილა, შვინდი... გაზაფხულზე ყვავილებით ათასფერად ირთვება არემარე; მერე ტყის პირებსა და ნედლ ყანებს ყაყაჩოების ცეცხლი წაეკიდება ხოლმე. მთის კალთები და ლაკბის სანაპირონი ერთმანეთს ეჯიბრებიან სიკეკლუცეში, კაზმვასა და ფერთა ელვარებაში. აქაურ მიწაწყალს მზის შუქი არ აკლია, შვინდიანის მთაზე ამოგორებული მზე კუსალიის მთაზე ინთება, მის ქეჩოზე თეთრი მანდილივით შემოხვეულ ქათქათა ღრუბელს ალისფრად შეფაკლავს და მთელი დღე ჩვენი სოფლის თავზე დაცურავს... კუსალიის მთა თეთრი ეკლესიით, ბებერი კაკლებითა და ცაში აწოწილი კვიპაროსით გადმოჰყურებს ვრცელ ზეგანს, რომელზედაც ჩემი სოფლის თვალწარმტაცი სანახებია გაშლილი.

გაზაფხული აქ ისე ერთბაშად მოდის, ისე ერთბაშად იფურჩქნება ბუნება, რომ შენც უნებურად გაიფიქრებ, ზღაპარში ხომ არ გადავსახლდიო. ამ დროს სოფო ბებია მინდვრის ყვავილების ზღვაში ჩაფლულ ბექობზე გადმოდგებოდა, ალტაცებას ვერ დაიოკებდა ხოლმე და ილოცებოდა:

— აი, თქვენ გაიხარეთ, თქვენ გამრავლდით...

— რა კარგები ხართ, მზის თვალებო, მარჯნის თვალებო...

— თქვენი ფერი თვალის საზრდოა, ცის კამკამი, მიწის ვარაყი...

ახლაც ყურში ჩამესმის მისი ტკბილი ლოცვა, სასოებით მივლის სხეულში ჟრუანტელად და ჩემი ბავშვობის დღეებისაკენ ულრუბლო თვალებით მახედებს... ვბრუნდები უკან, ჩემი ბავშვობისაკენ. მეგებებიან უკვე გარდაცვლილი, მაგრამ ჩემი ხსოვნით ისევ გაცოცხლებული ადამიანები. მესმის მათი ხმაც, მათი გულის ძგერაც...

კვლავ ჩემთან არიან ის ადამიანები, ვისაც მე თვალებში შევყურებდი, ვისი საქმენიც გულში ჩამრჩა სიყვარულად თუ დარდად. მივყვები მათ ნაკვალევს, იმათ გაციებულ ნატერფალებს ვაცოცხლებ, იმათთან ერთად ჩავდივარ სოფლის წისქვილში, გავდივარ სათიხე კალოზე, სადაც პაპაჩემი თიხის ჭურჭელს ძერწავდა სალამურა თითებით; დავყიალობ ხოდაბუნების ზღვაში; დავაბოტებ ხასხასა სერებსა და მინდვრებზე; ვეწაფები ტინებიდან გამონაჟონ ცივ წყაროებს; ისევ ვეძებ ნატვრის თვალს, რომელიც ბებიაჩემის ზღაპარში ვიპოვე ერთხელ და მერე სამუდამოდ დავკარგე. დღესაც იმ ნატვრისთვალს ვეძებ, იქნებ ვიპოვო სადმე, იქნებ მოვიხელთო და ჩემი ბავშვური ოცნება სინამდვილედ ვაქციო.

პატარა ბიჭს ნატვრისთვალი იმიტომ მინდოდა მეპოვა, რომ სამი რამ მენატრა... ეს სამი ნატვრა დღესაც იმ ბავშვური წყურვილით მახსოვს.

პირველი ნატვრა ლექსად მაქვს ჩარჩენილი გულში:

აქეთ ნუში, იქით ნუში,
მზევ, სხივები ჩამოუშვი,
მეთაურო, გეხვეწები,
მამაჩემი გამოუშვი!

ჩვენზე უფრო მოზრდილი ბიჭები ჩემტოლებს ხის თოფებსა და ხმლებს გამოგვითლიდნენ ხოლმე, „შეგვაიარაღებდნენ“, ჩაგვაყენებდნენ მწკრივში, მხედრულად ნაბიჯებს აგვაწყობინებდნენ და ამ ლექსს გვამღერებდნენ ძალიან ხშირად. ჩვენი სიმღერა ჩვენი ნატვრაც იყო — ომში წასული მამები შინ უვნებლად დაგვბრუნებოდნენ! ეს ნატვრა მე არ ამსრულებია, ამიტომაა. დღესაც რომ ველი მამის შინ დაბრუნებას; არა მჯერა იმ ფარატინა ქაღალდისა, რომელმაც მისი გმირულად დაღუპვა გვაუწყა... ის ჩემთვის ისევ ცოცხალია.

მეორე ნატვრაც მახსოვს. ჩვენი ეზოს პირდაპირ, პატარა სახლში ერთი მარტოხელა დედაბერი — ელისაბედ ბებია ცხოვრობდა. ომში დაეღუპა ორივე ვაჟიშვილი. ბედმა ესეც არ აკმარა — იგი უცნაურად დაჩაჩანაკდა, დაუძლურდა, რაღაც ხორ-



ცისმჭამელი უკურნებელი სენი გაუჩნდა სახეზე, რომელმაც ცხვირი მთლიანად მოაჭამა. ცხვირის ადგილზე მას მუდამ შავი ნაჭერი ჰქონდა აკრული. გამოვიდოდა ჭიშკართან, იქვე, ღობის ძირას გაკეთებულ ძელსკამზე ჩამოჯდებოდა და ნაღვლიანად იცქირებოდა სადღაც შორეთში... ყველა ერიდებოდა მას, ავი სენი არ გადაგვედოსო. ჩვენც — პატარებს — დედები თუ ბებიები ხშირად გვაფრთხილებდნენ: ახლოს არ გაეკაროთო. თვითონაც თავს გვარიდებდა საწყალი... ჰოდა, როცა კი მას თვალს მოვკრავდი, მაშინვე ამას ვინატრებდი: ნეტავი ამაღამ ხვალინდელი დღის გათენებამდე ბებია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედს ნამდვილი ცხვირი გამოებას, ისეთი, როგორიც დედის მუცლიდან დაჰყვა-მეთქი... რა თქმა უნდა, არც ეს ნატვრა ამსრულებია...

ყველაზე ძალიან კი მესამე ნატვრა ჩამრჩა გულში. ვნატრობდი, მეხილა მზის დედა, რომელიც ჩვენი სოფლის მეზღაპრის, ფუტკარას თქმით, ზოგჯერ ღამით თმებგაშლილი ჩამოდიოდა ხოლმე ცივ წყაროზე, დალევდა წყალს, დაისვენებდა და ისევ ტყეში გაუჩინარდებოდა.

„თურმე ნუ იტყვით, მზესაც ჰყოლია დედა!“ — ასე დაიწყებდა ხოლმე ფუტკარა ამ ამბის თხრობას, მერე უღრანი ტყიდან გამოიყვანდა მზის დედას და დიდმუხების წყაროსთან ჩამოიყვანდა. საოცარი ენამჭევრობით აღწერდა იმ გზას, რომლითაც იგი მოდიოდა: ხეები ტოტებს აქეთ-იქით სწევენ, რომ ბროლისფერი სახე არ დაუკაწრონო, ნაკადულები დუდუნსა სწყვეტენ, ირინდებიანო, ყვავილები შიშველ ფერხთა ქვეშ ფიანდაზად ეგებიანო, თვითონ კი მთელ გზას ანათებს, კალთაში უამრავი ციცინათელა უზის და გზადაგზა მუჭა-მუჭა აბნევსო. მე და ჩემი ტოლი ბიჭები თვალებგაფართოებული ვუსმენდით ფუტკარას; ეს ამბავი გვჯეროდა და არც გვჯეროდა, ის კი გულუბრყვილოდ გვარწმუნებდა: ტყუილი არ გეგონოთ, მართალს გეუბნებითო...

მაშინ მე მჯეროდა, რომ მზეს მართლაც ჰყავდა დედა და ვნატრობდი, რომ ოდესმე საკუთარი თვალით მეხილა იგი... და რა გულდასაწყვეტია, რომ რაც ბავშვობისას მინატრია, არასოდეს შემსრულებია...

## დედა, ნიკორა და მზე...

არ მახსოვს, პირველად როდის დავინახე მზე. ალბათ ეს ასე მოხდა: ვინაიდან იანვრის თვეში დავიბადე, სავარაუდოა, რომ უამინდობის გამო, რომელიც ჩვენებურ მკაცრ ზამთარს მუდამ თან ახლავს, იშვიათად თუ ჩანდა ცაზე მზე და, რა თქმა უნდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მე მაშინ ძალიან უსუსური ვიქნებოდი, რის გამოც, ყინვა-ქარიან ამინდში გარეთ არავინ გამომიყვანდა იმის გულისათვის, ერთ ციდა ბალღს მაინცდამაინც მზე რომ დამენახა, ამიტომ, ვფიქრობ, რომ პირველად მე მზე უნდა მეხილა გაზაფხულზე, როცა დათბა, ხეებს კვირტები დაუსკდა, აყვავდნენ ნუშები, ატმები და ტყემლები. მათი სურნელებით გავსებულ, ამომწვანებულ ეზოში ალბათ დედაჩემმა და ბებიამ ჩემი აკვანი გამოდგეს და გაზაფხულის მობაბანე მზეს მიმაფიცხეს. აკვნის სახელურზე თურმე ფერადთვლებიანი კრიალოსანი მქონდა ჩამოკიდებული და მთელი დღე, როცა მეღვიძა, ამ ფერადი თვლების ჩხრიალით ვიყავი გართული; ჩემი თვალები კრიალოსნის ფერად ქვებს ისე ალიქვამდნენ, როგორც პირველ საოცრებას. და ერთ დღეს, როცა აკვნის თავზე — ჩემს პირდაპირ, ცის ლურჯ გუმბათზე შემოდგა მზე და შიგ თვალებში ჩამხედა, ალბათ ისიც კრიალოსნის დიდი ფერადი ქვა მეგონა, არტახებიდან ხელები ამოვყავი და მოვინდომე ორივე ხელით მისი ჩაბღუჯვა. რა თქმა უნდა, ჩემი პაწაწა ხელები ვერ მისწვდებოდნენ მზეს და ეს ყველაზე დიდი და ყვითლად მოკაშკაშე მრგვალი ფერადი თვალი რომ ვერ მოვიხელთე, ალბათ ავტირდი. შეწუხებული დედა და ბებია (თუ არ ვცდები, ისინი წინდების ქსოვით, საჩეჩელზე მატყლის ჩეჩვით ან კვირისტავზე ბაწრის გრეხვით იქნებოდნენ გართული) მაშინვე თავს მიანებებდნენ ხელსაქმეს და „იავნანის“ წამღერებით აკვნის რწევას მოჰყვებოდნენ, რომ ჩემს ახირებულ განზრახვაზე ხელი ამეღო, დავმშვიდებულიყავი და დამეძინა. მაგრამ აბა თქვენც წარმოიდგინეთ: აქეთ-იქით ირწევა აკვანი, ასევე ირწევა ცაზე მზე, თითქოს ჩემს თვალწინ დახტის, თვალებს მჭრის — „ჭიტა-ჭიტას“ ძახილით და აი მაშინ უფრო მომინდებოდა მისი მოხელთება და, რადგანაც ამ გულუბრყვილო სურვილს ვერ ავისრულებდი, უფრო ხმამაღლა მოვრთავდი ღნავილს. დედა ძუძუს მომაწოვებდა, ბებია კი შელოცვას მოჰყვებოდა...

მე ვტირი, მზეს მოვითხოვ, დედას და ბებიას კი ჰგონიათ, ვიღაცამ ავი თვალი მკრა და „მიზეზმა“ მომიარა. მაშინვე შინ მიმარბენინებენ, კარ-ფანჯრებს ხურავენ, კვლავ „იავნანას“ მიმღერიან, რომ იქნება როგორმე დავიძინო. მე კი ისევ ვტირი, მზეს მოვითხოვ...

— დაიძინე, ციცქნა შვილო! — მეხვეწება დედა.

— დაიძინე, პაწიავ!! — მეხვეწება ბებიაც.

მე კი კვლავ ვტირი, ვჯავრობ, ხელებს ვფარჩხავ, მსუქან თითებს გაბრაზებით ვუცაცუნებ კრიალოსნის ფერად ქვებს და ბრაზისაგან ლამის დავიხრჩო, ყველაზე დიდი და კაშკაშა თვალი სადღაც რომ გაქრა. ბოლოს და ბოლოს ვიქანცები, თვალები მელულება და ვიძინებ.

იმ დღემ, როცა მზე პირველად ვიხილე, ალბათ ასე ჩაიარა.

თენდება მეორე დღე. ძუძუს მივირთმევ, ხელიდან ხელში მაკოტრიალებენ, ცნობისმოყვარეობით ვუყურებ მოძრავ და უძრავ საგნებს (ჯერ არ ვიცი, რომელს სულიერი ვუწოდო და რომელს უსულო), ისინი დედა, მამა, ბებია, პაპა, ჩემი ბიძები, ცხოველები, ფრინველები და ჩვენი ეზოს ხეები არიან. აკვანი, რომელშიც მე ვწევარ, ისევ გამოაქვთ დედას და ბებიას ეზოში. ნათლად ვხედავ: მთის იქიდან ისევ ის ბრიალა, კაშკაშა თვალი ამოდის, სულ მე მიცქერის, მერე ჩემკენ ნელ-ნელა მოეშურება. მიხარია, ვუღიმი, ხელებს ვიშვერ მისკენ, ისევ მისი მოხელთება მინდა, მაგრამ იმ დღესაც პირში ჩალაგამოვლებული ვრჩები. ბდღვრიალა დიდი, ფერადი თვალი საღამოს ცეცხლს უკიდებს ცის კაბადონს და ღრუბლების მორევში ჩაყურყუმალავებული უჩინარდება.

დედის ძუძუს დაწაფებული თითქოს წუთიწუთზე ვიზრდები.

მერე ენა ამოვიდგი, ვისწავლე: დედა, მამა, მზე.

თანდათან ყველას და ყველაფრის სახელებს ვსწავლობ და უკვე ვიცი, რომ ჩემი აკვნის დარაჯ ძაღლს მასილა ჰქვია, ამას — პაპა, იმას — ბებია... სანდრო ძია მხრებზე შემისვამს ხოლმე და აღმა-დაღმა დამარ-

ბენინცებს, შენი რაში ვარო, მეუბნება. მაგრამ ჩემი რაში მაინც ბასილაძალლია. ისეთი უწყინარია, წამოსკუპდება ჩემს წინ და ზურგს მიშვერს, ზედ შემაჯექიო, უსიტყვოდ მეუბნება; მეც სიამოვნებით ვაჯდები ზურგზე, მაგრამ თუ ვინმე ჩაივლის გზაზე, წამოვარდება და ყეფით გარბის იქით, მე მიწაზე ვენარცხები და ვტირი.

— ხომ არაფერი იტკინე?! — ჩემკენ გამორბიან დედა და ბებია; მეფერებიან, ბასილას ტუქსავენ, ის კი დამნაშავესავით ნაბავს თვალებს, კუდს მიქიცინებს, ხაოიან ენას მის-



ვამს წვივებზე, მაპატიეო, მემუდარება თითქოს. მე ისევ ვურიგდები ბასილას, მაგრამ მას ხშირად ავიწყდება, რომ მის ზურგზე ხელახლა შემომჯდარ „პატარა მხედარს“ ჯერ ისევ მოუშუშებელი აქვს ძველი კოპი, და ახალს უმატებს.

ყველაზე უმცროსი ვარ ოჯახში, თუ არ ჩავთვლით ნიკორა კამეჩის ზაქს — ჭრელას. ჭრელას იმიტომ ვეძახით, რომ შუბლზე ორი თეთრი, დატალღული ზოლი აქვს. ისეთი ლამაზი და თვინიერია, შეგეცოდება, როცა გაიფიქრებ, რომ, გაიზრდება თუ არა, უღელში შებმა მოუწევს. მე მინდა ჭრელა სულ ასეთი პატარა იყოს, მაგრამ ის დღითიდღე იზრდება და არ იქნება გასაკვირი, თუ თავის დედას სიმსხოსა და სიმაღლეში გაასწრებს. ნიკორა კამეჩი ყველაზე უფრო იმით დამამახსოვრდება, რომ მისი რძითა ვარ გაზრდილი. თურმე დედაჩემს ძუძუ რომ გაუშრა, სანაცვლოდ ძროხის რძეს მასმევდნენ, რომელიც მეზობლის დედაკაცისაგან მოჰქონდათ. მერე და მერე ჩემი ჯანმრთელობა ისე უკან-უკან წასულა, რომ მთლად ძვალ-ტყავზე დავსულვარ და ყოველდღე ექიმებთან დამატარებდნენ, მათ მიერ გამოწერილი წამლებით მჭყიპავდნენ. მაგრამ არაფერი მშველოდა თურმე, სანამ პაპაჩემს არ უთქვამს: ბიჭს რძე უნდა გამოვუცვალოთ, ვისგანაც რძე მოგვაქვს, ეგ დედაკაცი ძუნწია და ალბათ რძეს წყალს ასხამსო. მართლაც ასე ყოფილა. სწორედ იმ დღეებში ჩვენს ნიკორა კამეჩს ზაქი მოუგია, ჭრელა. მისი რძე დედის რძესავით შემრგებია, ორ კვირაში ფერხორციც მომსვლია და მალე ისე ჩავსუქებულვარ, ხელში რომ ამიყვანდნენ, თურმე სიამოვნებით იტყოდნენ ხოლმე: ამ ბიჭმა მალე თუ არ აიდგა ფეხი, იმსიმძიმეა, მკლავებს დაგვაწყვეტსო. ჭრელას ძმასავით ვეფერებოდი. ნიკორა კამეჩმაც იცოდა, მისი რძით რომ მზრდიდნენ; იმიტომ იყო, დიდრონი, კეთილი თვალებით რომ მომაშტერდებოდა ხოლმე. ხოლო მეზობლის ძუნწი დედაკაცი ეზოში თუ ცხვირს შემოყოფდა, მაშინვე სახლში მიმარბენინებდნენ, თვალი არ ჰკრასო.

— დედა, ნიკორა და მზე! — ძალიან ხშირად სამივეს ერთად დავასახელებ ხოლმე... ისინი არიან ჩემი გამზრდელები.

## ჰაცეჭი

ჩვენი სოფლელები იყვნენ ისინი. სულ ზევით, გზის პირზე, პატარა კოლა ცხოვრობდა, მის გვერდით — პაზაკონა-ალექსა, ცოტა ქვევით — ცხარე ნიკა, უფრო ქვევით — მაღალი ლევანა, იმათ გადასწვრივ კი — ბრეთლი-გიგა. ჰყავდათ შვილები, შვილიშვილები, დამრავლებული ოჯახები. ეზოებს ერთიმეორისაგან არ უყოფდათ გალავანი თუ მესერი, მარტო ბალჩა-ბაღები შემოეზღუდათ ძეძვის ღობით, სადაც ხეხილთა შორის აზიდული ხნიერი კაკლები ზვიადად ებჯინებოდნენ ცას. თითოეულს თავისებური, გამორჩეული ხასიათი ჰქონდა, ცხოვრების აწყობა-დაწყობის თავისებური ხერხი იცოდა. ღონეც ერჩოდათ და შრომა-გარჯა ზნეობად, წეს-ჩვეულებად გაეხადათ. გზის გაღმა, იმავე უბანში, მეწისქვილე ვანო, მეზღაპრე ფუტკარა და ბაქია დოლო სახლობდნენ, სულ ზევით კი, სოფლის თავში — ფოსტალიონი მიხაკო. ზემოთ ჩამოთვლილთა ირგვლივ, არიგება-ჩარიგებით, რა თქმა უნდა, სხვებიც ცხოვრობდნენ და იმ სხვებს შორისაც თითქმის არ მოიძებნებოდა ისეთი კაცი, რომელსაც თუნდაც ავი სიტყვის სათქმელად გაიმეტებდი. უშურვო თვალებით უმზერდნენ ქვეყანას; იმედიანი გულით, შუქიანი თვალებით და ყუათიანი სიტყვით იცოდნენ შემოგებება...

ისინი უკვე მოხუცებულობაში ფეხშედგმული იყვნენ. მათ შორის ყველაზე უფროსი იყო მეზღაპრე ფუტკარა, რომელიც სადაცაა ას წელს ისე გადაითვლიდა, როგორც ყმაწვილი ბიჭი გადაითვლის ხოლმე მდინარის პირზე სათამაშოდ შეგროვებულ ფერად ქვებს... გაზაფხული იმიტომ ახარებდათ, ნაზამთრალი მიწა სუნთქვას იწყებსო, ხეებს კვირტი უსკდებათ საყვავილოდ

და საფოთლოდო... ამ დროს მათ გულსაც ძალუმი ძგერა ემატებოდა, ძარღვებს — სისხლის ჩქროლვა... უკვე ჩავლილი სიჭაბუკე გაახსენდებოდათ, ხალისიანად შეაბამდნენ გუთანში ხარებს, გუთნისდედად კვალში მაღალი ლევანა ჩადგებოდა, გაავლებდნენ პირველ ხნულს, ბელტს ბელტზე გადააწვენდნენ და საღამო ხანს სიამოვნებით გადაავლებდნენ თვალს შავად გადაბრუნებულ მიწას... მერე ხარებს უღლიდან გამოხსნიდნენ, საბალახოდ გაუშვებდნენ და სახელდახელოდ გაჩალებულ კოცონს გარს შემოუსხდებოდნენ სავახშმოდ. შოთს გატეხდნენ, ღვინით სავსე დოქიდან თიხის ჯამებში ღვინოს გადმოარაკრაკებდნენ, შესვამდნენ, აუციმციმდებოდათ თვალები და თვითონაც დოქის ყელივით არაკრაკდებოდნენ, დაიწყებდნენ საუბარს იმაზე, თუ რომლის ვაჟი შეილერა უკვე საქორწინოდ, ან კიდევ, ვისი გოგო შეითვალა საპატარძლოდ...

მერე ცხარე ნიკა იტყოდა:

—ცუდი პირი უჩანს ამ ქვეყანას, ომის სუნი მცემს!

— დააყენე ენა, ნიკავ, ნუ დაგვთარსავ, მართლა ცუდი არაფერი მოხდეს, ვერა ხედავ, ვაჟებსა და გოგოებს საქორწინოდ ვამზადებთ, ყოველთვის კარგი, ბარაქიანი შემოდგომა ინატრე და ქვევრის ყელზე აშხიპშხიპებული გიორგობის თვეო, — შეუბუზღუნებდა პატარა კოლა და შუბლზე გადმობარდნილი წარბების ქვეშიდან მოუსვენრად გამომზირალ, ღვინით აწრიაქებულ თვალებს პირდაპირ თიხის ჯამის ფსკერს მიაშტერებდა, გეგონება, შიგ მთელი ქვეყნის ბედის ამოკითხვას თუ ამოცნობას ლამობსო. მერე გამოცლილ სასმისს პირდაპირ მჯდარ ბრეთლი-გიგას გადააწვდიდა, — თვალს გაკლია და ისეთი ძალა აქვს ამ დალოცვილ ვაზის წვენს, სინათლეს მოგიმატებსო, — ეტყოდა და დოქს გადაუპირქვავებდა ცარიელ ჯამში, შესვი, გაამოსო!

მერე პაზაკონა-ალექსა ამოიდგამდა ენას:

— „პაზაკონუ“ თუ ვილაპარაკებთ, ფრიცებმა ომი ვერ უნდა გაგვიბედონ, არ იციან, რომ ამოდენა ქვეყანასთან ვერაფერს გახდებიან და თავს წააგებენო?! — თან ახალგამომცხვარ შოთის პურს წნელივით გადაგრეხდა, შუაზე გაგლეჯდა, მადიანად ჩაკბეჩდა და დასძენდა: — და თუ მაინც დაგვიწყებენ ომსა — აი, ამის გულისათვის... გაუგია ჰიტლერს, საქართველოში რომ პურს აცხობენ. ის მენატრება, იმისი სუნი აქა მცემსო.

— ეგ ვერ მივართვითო! — მაშინვე აყაყანდებოდა ბაქია-დოლო, გაუპარსავ, მეჩხერ წვერ-ულვაშზე ჩამოისვამდა თითებს, ჩამოიფხანდა სახეს და გამხმარ ყელ-კისერზე ისე დაებერებოდა ძარღვები, თითქოს თოკი წაუჭირესო. — ერთი იმისთვის ყანყრატოში ჩამავლებინა ხელი, რომ ძალლივით ვახრიალო და სული ამოვხადო, სანამ ქვეყანას რაიმე ფათერაკს გადაჰკიდებსო, — დაიქადნებდა და ნიშნისმოგებით იტყოდა: — იქნება ეგეც უთქვამს ჰიტლერს, ლაკბეზე რომ პატარა წისქვილი დგას, მარტო იქ დაფქული ხორბლის ფქვილით გამომცხვარ პურს შევჭამო, ის კი არ იცის, მეწისქვილე ვანო რომ შხამს ჩაუყრის ფქვილში და თაგვივით გასუნდრავს, — ჩაიხითხითებდა და შეცხადებით იტყოდა: — მთელი კვირაა წისქვილში არ ჩავსულვარ, ნეტა რასა იქმს ჩვენი მეწისქვილე, ვაითუ დათვებმა შეგვიჭამეს უთოფ-უიარაღოდ მიტოვებულიო.

ყველას გულიანად გაეცინებოდა და პაზაკონა მიაგებებდა პასუხს: — „პაზაკონუ“ დათვებისა ფუტკარას უნდა ეშინოდეს, ყოველ დღე ტყეღრეში დაეხეტება, მშიერი ნადირის ლუკმა არ გახდესო...

ფუტკარა კი ჩუმად იჯდა ხოლმე და ახალ ზღაპარსა თხზავდა კაცებზე, რომელთაც ერთი სიცოცხლე არა ჰყოფნით და მეორე სიცოცხლისათვის უკვდავების წყაროზე მიდიან ერთი ყლუპის შესასმელად. მიდიან, მიდიან და გზაში ეცემიან... იმათი გზა სახნის-საკვეთით გალარული მიწაა, სწორედ ამ მიწის გულზე ეცემიან და ნახნავებში ისე ეფლობიან, შიგ იმარხებიან კიდეც და მერე ზედ გულმკერდზე ვაზი ამოსდით, მტევნებით დახუნძლული... ყოველი მტევნის თითოეული მარცვალი მათი თვალების გუგებია და მიწადქცეულები საფლავიდან ახლა ამ თვალებით უყურებენ ამოდენა ქვეყანას...

— სინათლე ხომ არ დაგკლებიათ თვალში, კაცებო... თქვენს შუქს თქვენი შვილები და შვილიშვილები გაიტაცებენ თავიანთი თვალებით, რომ ამ საოცარ ქვეყანას დღე და ღამე უცქირონ...

ამას გულში ამბობდა ფუტკარა... მისი გული ლაპარაკობდა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზმეულის გარდაქმნის გზაზე

## ბარათები თბილისის 147-ე სკოლიდან

„ყურადღება! ცხადდება მაკულატურის შეგროვების კვირეული! თითოეული რაზმის გეგმა 200 კგ-ია. გამარჯვებული რაზმი გაემგზავრება ექსკურსიაზე მარშრუტით: „გორი — უფლისციხე — ატენი — გორი". წავიკითხეთ თუ არა პიონერთა ოთახთან გაკრული ეს განცხადება, რომელსაც რაზმეულის საბჭო აწერს ხელს, მაშინვე ქუდმოგლეჯილებმა შემოვიარეთ სკოლის მიკრორაიონი, სადარბაზოები, სხვენები... ბევრს ბინაზე დავურეკეთ, დაგროვილი მაკულატურა ხომ არ გექნებათ-თქო. სამ დღეში ჩვენმა რაზმმა 600 კგ მაკულატურა შეაგროვა და გავიმარჯვეთ.

დანაპირები შეგვისრულეს. ხათუნა ხელმძღვანელმა ექსკურსიაზე წაგვიყვანა.

მე-6 რაზმის პიონერი
ნინო უგულავა.

პიონერხელმძღვანელის დახმარებით საღამო მოვაწყვეთ. რაზმის ხელმძღვანელები, პიონერული აქტივი და მოსწავლეები ერთმანეთს გავეჯიბრეთ მხატვრულ კითხვასა და სიმღერაში, აგრეთვე საინტერესო შეკითხვებზე პასუხის გაცემასა და მოცემული სიტყვებით მოთხრობის შედგენაში. ყველას გვემახსოვრება დოდო მასწავლებლის მიერ შედგენილი იუმორისტული მოთხრობა, იამზე მასწავლებლის წაკითხული ლექსები...

ყოფილმა პიონერხელმძღვანელებმა, რომლებიც ახლა კლასის ხელმძღვანელებად მუშაობენ, რაზმეულის ადრინდელი ტრადიციები გაიხსენეს; დახმარებას დაგვპირდნენ. მეორე დღეს ყველა მოვიდა რაზმის ხელმძღვანელთა კურთხევაზე, რომელიც ხათუნა ხელმძღვანელის დახმარებით მოვამზადეთ, პიონერებთან სამუშაოდ გზა დავულოცეთ მაია ორაგველიძეს, ლალი ირემაშვილს, ციცინო ოქმელაშვილს, ხათუნა დარსალიას.

რაზმის ხელმძღვანელთა კლუბ
„რომანტიკის" თავმჯდომარე
ნატო მაღრაძე.

ჩვენს ინტერკლუბს „პლანეტას" 3 წელი შეუსრულდა. რას ვაკეთებთ? — მიმოწერა გვაქვს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკასთან, აგრეთვე უნგრელ და ჩეხოსლოვაკელ თანატოლებთან. სულ ახლახან ვუმასპინძლეთ ჩვენი დედაქალაქის სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებს. ამ დღეს სოლიდარობის ბაზრობაც მოვაწყვეთ. შემოსული თანხა მთლიანად მიწისძვრით დაზარალებული სომეხი მეგობრების დახმარების ფონდში გადავრიცხეთ.

— მეგობრობა უსათუოდ თავისას გაიტანს, ქვეყანაზე სინათლე და სიყვარული დაისადგურებს, — გვითხრა ხათუნა ხელმძღვანელმა.

ინტერკლუბის პრეზიდენტი
თინათინ ცომაია.

4 წელია არსებობს სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმი. მუზეუმთან 4 სექტორი შევქმენით: სამხედრო-პატრიოტული, სკოლის კურსდამთავრებულ ვაჟებთან მუშაობის, ომის ვეტერანებთან მომუშავე და კვალმაძიებელთა. შევადგინეთ ჩვენი სკოლის მიკრორაიონის რუკა. რაზმებს შესასწავლად გავუნაწილეთ საცხოვრებელი კორპუსები. მოვძებნეთ და შემდეგ სკოლაში მოვიწვიეთ ვეტერანები. სასკოლო მუზეუმში საქმიანობა ძალიან საინტერესოს ხდის ჩვენს პიონერულ მუშაობას.

საბრძოლო დიდების სასკოლო
მუზეუმის თავმჯდომარე
გიორგი შარაშიძე.

ხათუნა ხელმძღვანელის რჩევით თვეში ერთხელ ვიკრიბებით „მრგვალ მაგიდასთან" სადისკუსიოდ — ვარჩევთ, რა გავაკეთეთ და რა — ვერა ერთი თვის მანძილზე, რამ შეგვიშალა ხელი. დისკუსიაში კომკავშირის კომიტეტიც მონაწილეობს. ჯერჯერობით მუშაობის ეს ფორმა ამართლებს; თუ შევატყობთ, რომ მოგვბეზრდა, სხვა რამით შევცვლით.

აი, რა შედეგი გამოიღო ამ შეკრებებმა: რაზმეულის საბჭომ ყველა რაზმს მისცა უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე
ფიქრია თათარაშვილი,
მოადგილე ანა ჟორჟოლიანი.

ამ ბარათების ავტორებს და მათ უფროს პიონერხელმძღვანელს ხათუნა დოლენჯიშვილს ადგილზეც გავეცანი — შევესწარი მათ ერთ საინტერესო სამზადისს. სკოლის კომკავშირის კომიტეტთან ერთად რაზმეული ამზადებდა პიონერულ კონფერენციას თემაზე: „იყავ მზად! — ჩვენი ცხოვრების კანონია!", რომელიც აპრილში გაიმართება და მთელი კვირა გაგრძელდება.



პიონერული
აქტივის
კლუბი

პირველ დღეს პიონერული რაზმის ხელმძღვანელები და კომკავშირელები კვირეულს ხსნიან „მრგვალი მაგიდის" ირგვლივ კამათით თავიანთ ერთობლივ მუშაობაში არსებული პრობლემების გარშემო.

მეორე დღეს კომკავშირის კომიტეტის იდეურ-პოლიტიკური სექტორი და პოლიტინფორმატორები გაუძღვებიან. პოლიტინფორმატორები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ. აქვე მოეწყობა პოლიტიკური პლაკატების კონკურსი.

ამავე დღეს გაანალიზდება პიონერების მუშაობა ოქტომბრელებთან, კომკავშირელებისა — პიონერებთან; შემდეგ კი ყველა ერთად დაესწრება ოქტომბრელთა კონცერტს.

მესამე დღე სპორტულ და შრომით საქმეებს დაეთმობა (კომკავშირელებთან ერთად). აქ მთავარია კოლექტიური შრომა, საქმის კოლექტიური დაგეგმვა: სპორტულ საქმიანობაში მთელი რაზმეულის მონაწილეობა. ამ დღეს მოეწყობა შრომითი დესანტი, შეგროვდება მაკულატურა, გაიმართება „მხიარული სტარტები".

მეოთხე დღეს მასობრივი მუშაობის ორგანიზატორები ამზადებენ დისკუსიას თემაზე: „როგორ ვისვენებთ". საუბარი იქნება იმის თაობაზე, თუ ვისი თაოსნობა მოჩანს შეხვედრების, ზეიმების მომზადებისას და დასვენების საათებში — პიონერების თუ პედაგოგებისა? ამ დღეს მოეწყობა კოლექტიური დასწრება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლზე.

მეხუთე დღეს კომკავშირის კომიტეტის წევრები, რაზმის ხელმძღვანელები და რაზმეულის საბჭოს წევრები „მრგვალ მაგიდასთან" შეიკრიბებიან სასაუბროდ თემაზე: „როგორ ვამზადებთ ცვლას". მოხდება პიონერთა რიგებში ოქტომბრელების მიღება, კომკავშირის რიგებში ახალმიღებულთათვის კომკავშირული ბილეთების გადაცემა.

მეექვსე დღეს ყველა რაზმიდან არჩეული დელეგატები შეიკრიბებიან (პიონერებმა ასე მოითხოვეს) და ხუთი დღის განმავლობაში გაკეთებულს შეაჯამებენ, შემდეგ კი რაზმის ხელმძღვანელთა კონცერტი გაიმართება. წარმოდგენილი იქნება ქართველ მწერალთა და კომპოზიტორთა ნაწარმოებების მიხედვით მომზადებული ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი.

მეშვიდე დღეს ყველა გაემგზავრება საგურამოში, დიდი ილიას სახლ-მუზეუმში.

რაზმეულში გაჩაღებულ მთელ სამზადისში ბავშვთა თვითმმართველობის ძალა ვიგრძენი, რომელსაც ყველა უბანზე თვითონ არეგულირებდა და ძალას მატებდა სკოლაში პიონერული ცხოვრების ოსტატურად მართვა, პედაგოგთა ხელშეწყობა და არა თავს მოხვეული, მბრძანებლური კილოთი მოქმედება; ეს იმიტომ ხდება, რომ პიონერთა კომისარს ხათუნა დოლენჯიშვილს სწამს პიონერული თვითმმართველობისა, ენდობა ბავშვებს, იზიარებს მათ ტკივილსა თუ სიხარულს. ამიტომაც პიონერებს, რომლებმაც თავიანთ ცხოვრებაზე ბარათებში გვიამბეს, არ უჭირთ საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა.

ნათელა ფაილოძე

ვლადიმერ სივჩიკოვი,

ბელორუსი მწერალი

მხატვარი ვლ. სტეპანენკო

ნოველა

# ანდერძობანას თამაში

„...მინსკის ცენტრში, რესპუბლიკისა და ნემიგას ქუჩების გზაჯვარედინის სკვერში იპოვეს კიდევ ერთი განძი. გასულ კვირას № 1 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს მექსკავატორე ლევ ბლატუნმა. რომელიც თბოტრასის მილების ჩაწყობაზე მუშაობდა, თავისი აგრეგატის ციცხვი მოულოდნელად წამოსდო ხის ძველისძველ კომოდს. კომოდი დაიმტვრა და თხრილში გაიფანტა ნაირგვარი ვერცხლის ნივთები: დეკორატიული ლანგრები, მოხატული ლარნაკები, შანდლები, საკანფეტეები, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების რუსული და გერმანული მონეტები... ყველაზე ძველი ამ ნივთებს შორის, ეტყობა, მოოქრული ვერცხლის ზარდახშაა, რომელსაც აქვს დამღა: „1765“. ნაპოვნის უნიკალურობაზე მეტყველებს ნივთების სიმრავლეც (რამდენიმე ათეული). განძის მხატვრულ და მეცნიერულ ღირებულებას სპეციალისტები დაადგენენ. კვლევის შედეგებზე აუცილებლად მოგითხრობთ გადაცემათა ციკლ „მემკვიდრეობის“ ერთ-ერთ უახლოეს გამოშვებაში“.

დიქტორის ხმა წამით შეწყდა, მერე კი განაგრძო: „თქვენ მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები“. ამას მოჰყვა მუსიკალური ჩანართი — კლასიკური ოპერის უვერტიურა.

ბრონიკმა ამოიოხრა, ტელევიზორის ხმას დაუწია და გაიფიქრა: „ეჰ, მე რომ მეპოვნა ის განძი... სულელებს წყალობთ ბედი...“

●

„...და კიდევ, ძმაო ჩემო იანე, გავალებ მოძებნო განძი იგი ფასდაუდებელი და გადასცე დიდებულ თავადს. ვილნოს საფოსტო გზაზე, სვისლოჩის ნაპირას დამესხნენ თავს ყაჩაღები, და ამ შეტაკებაში მძიმედ დავიჭერი. ფული — ამირას გამოსახულებიანი ოქროს დირჰემები, დიდებული თავადისათვის რომ მიმქონდა, რკინით შემოჭედილ ზანდუკში ჩავყარე სხვა ნივთებთან ერთად და მიწაში ჩავფალი მდინარის მოსახვევში, ნამეხარი მუხის ძირას“.

ფელიციანმა გულდაგულ გაწმინდა ბატის ფრთის კალამი და ხელახლა წაუთალა წვერი. მერე სანთულს პატრუქი გაუსწორა, კალამი ჩააწო თვითნაკეთ მელანში, რომელიც დაფქული რკოსა და მოცვისაგან დაამზადა, და გამოცდილი იმიტატორის მტკიცე გაკრული ხელით დაიწყო ახალი აბზაცი:

„ვგრძნობ, მიახლოვდება სიკვდილი, მაგრამ მწამს, რომ განძი ესე საიმედო ხელში მოხვდება. თან იქონიე ყოველივე აუცილებელი და ჩემს ერთგულ მსახურთან ერთად, რომელიც გადმოგცემს ლოცვანს (ანდერძს მის გარეკანში იპოვი), მიაშურე აღნიშნულ ადგილს დიდ შაბათ დღეს. დაე, მსახურმა ამოთხაროს იქ წელამდე სიღრმის ორმო, ხოლო შემდეგ თავად განაგრძე თხრა და შენვე ამოიღე განძი იგი, იანე.

ვერ მოისვენებს სული ჩემი, ძმაო, ვიდრე არ შეასრულებ უკანასკნელ სურვილს ჩემსას. ხოლო თუ ვინმემ ხელჰყოს განძი იგი, დაე დაისაჯოს ზეციური სასჯელით — მეხის დაკვრით დაიღუპოს.

შენი ძმა სტეფან ცადრევსკი.

დაიწერა 23 მარტს, 1660 წელს“.

ფელიციანმა მშრალი წმინდა სილა მოაპნია ნაწერს, სული შეუბერა, მერე უთო გაახურა და ორივე მხრიდან გაუსვა ფურცელს. ასოები მაშინვე გამკრთალდა. გამოხუნდა. ქაღალდს კი დაძველება არ სჭირდებოდა — იგი ფელიციანმა ბიბლიოთეკაში მოიპარა, ძველისძველი ფოლიანტიდან ამოხია შეყვითლებული ფორზაცი[1].



შემდეგ ფელიციანმა თანაკლასელ მეგობარს, ბრონიკს დაურეკა და სთხოვა, სასწრაფო საქმე მაქვს, ერთ საათში შენთან გავჩნდები, შინ დამელოდეო.

●

აგერ უკვე ნახევარი წელი მიიწურა, რაც ფელიციანი მინსკის ცენტრში გადავიდა საცხოვრებლად, ახალ დიდ სახლში, რადიოსაქონლის საკომისიო მაღაზიის თავზე. ბინა სასახლესავით ფართო იყო, მაღალჭერიანი, მუხის პარკეტიანი. ახალ ბინაში კი გადავიდა, მაგრამ ახალ სკოლაში გადასვლაზე ფელიციანმა უარი თქვა, ამ სასწავლო წელს ბარემ ძველ სკოლაში დავასრულებო. ძველი სკოლა კი მოძველებული ხუთსართულიანი სახლებით მოფენილ მიკრორაიონში იდგა, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინათ გააშენეს. სწორედ ამ მიკრორაიონში ცხოვრობდა ბრონიკი.

ბრონიკის ოთახი რადიოატელიეს ფილიალი გეგონებოდათ, იქაურობა კანიფოლისა და სხვადასხვა მჟავას

---

[1] ფორზაცი — ქაღალდის ფურცელი, რომელიც წიგნის ბლოკს უერთდება და მას ყდაზე ამაგრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნით იყო გაჟღენთილი. სამუშაო მაგიდის თავზე, კედელზე, წყვილი წიგნის თარო ეკიდა, ფანტასტიკური და ტექნიკური ლიტერატურით გაჭედილი. ოთახში ორი სკამი იდგა.

ფელიციანი კედელთან მიდგმულ სკამზე იჯდა, ხელში ქუდი და ხელთათმანები ეჭირა. ოთახში მარტო მაგიდის ნათურა ენთო და ფელიციანს მოგრძო შავგვრემან სახეზე ჩრდილი ეფინა. ბიჭს თხელი ტუჩები მაგრად მოეკუმა, კეხიანი ცხვირი და ნიკაპი წინ გამოეშვირა და შავი ჩხვლეტია თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა მეგობარს.

ბრონიკი სრულიად განსხვავებული ტიპი იყო: მრგვალი მსხვილნაკვთებიანი სახე, თეთრგვრემანი, ქერათმიანი, მწვანეთვალება. მაგიდაზე შეყვითლებული ფურცელი დაეფინა, დაკვირვებით კითხულობდა გაკრული კალიგრაფიით ნაწერ ანდერძს, დროდადრო ხელახლა უბრუნდებოდა წაკითხულს.

— ფანტასტიკაა! — თქვა ბოლოს, კითხვა რომ დაამთავრა, და ამოიოხრა. — მოიცა, გუშინ არ იყო, რადიოთი რომ გადმოსცეს, ვილაც მეექსკავატორემ განძი აღმოაჩინაო?

— არ ვიცი, მე „უკანასკნელ ცნობებს“ არ ვუსმენ ხოლმე, — უპასუხა ფელიციანმა. — ხოლო რაც შეეხება ანდერძს, ეს რეალობაა და არა ფანტასტიკა.

— მაშ, როგორც ამბობ, ეს ანდერძი ძველი წიგნის გარეკანში იპოვე, არა?

— ჰო-მეთქი, რამდენჯერ უნდა აგიხსნა? შენ ხომ კარგად იცი, როგორ მიყვარს ძველ წიგნებსა და ხელნაწერებში ქექვა. ჰოდა, გუშინ გაცრეცილ ლოცვანს ვათვალიერებდი. ვხედავ — ყდა ოდნავ გარღვეულა და იქიდან ფურცლის კუთხეა გამოჩრილი...

— მაშასადამე, ანდერძს ამ სამალავში სამასი წელი დაუყვია! მაგრამ საიდან იცი, რომ ის განძი ისევ მიწაში დევს?

— აბა, სად უნდა იყოს? იმ მსახურს ან ვერ მოუხერხებია ლოცვანის დანიშნულებისამებრ გადაცემა, ან კიდევ იან ცადრევსკიმ მიიღო იგი, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ წიგნში სამალავი იყო. ეს ხელნაწერი რომ ვინმეს წაეკითხა, მყისვე მოსპობდა მას. შემთხვევით კი განძს ვერავინ იპოვიდა — საკმაოდ ღრმადაა ჩაფლული.

— ამაში, ნაღდად, მართალი ხარ. ახლა ეს მითხარი, როგორ უნდა ვიპოვოთ ის ადგილი?

— ეგ ნუ გედარდება, ზუსტად ვიცი, სადაცაა: ერთ ძველ ფოტოსურათზე ვიცანი სწორედ ის ნამეხარი მუხა, რომელიც სვილოჩის ნაპირას, ტროიცის გარეუბანში დგას. გუშინვე მოვიარე ის ადგილები და იმ მუხის ძირკვიც ვიპოვე. ახლა შენს მორიგ შეკითხვას დავასწრებ და გიპასუხებ: დიდი შაბათი აღდგომის წინადღეა. ხვალინდელი დღე კი სწორედ დიდი შაბათი თენდება.

— რაკი ყველაფერი ასე კარგად გცოდნია, შენ თვითონ რატომ არ წახვალ და არ ამოთხრი იმ განძს? — ეჭვით შეხედა ბრონიკმა ფელიციანს და გესლიანად დაუმატა: — თუ თქვენს ბრწყინვალებას მსახური სჭირდება?

— ჯერ ერთი, ინდივიდუალისტი არ გახლავართ. მეორეც, ასეთ საქმეში საიმედო მოკავშირე აუცილებელია. გახსოვდეს, ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ თუ ჩაუვარდება ხელში ამოდენა ფული!

— მომისმინე, ფელ, რას აპირებ, რაში უნდა გამოიყენო შენი წილი ოქროს დირჰემები, ჰა?

— რაში და, მალე იშვიათი ხელსაწყოები და მასალები დამჭირდება. ერთი ჩანაფიქრი უნდა განვახორციელო, ისეთი, რომ მასთან „გუზლა“[1] მონაგონი იქნება, — თქვა ფელიციანმა და ახლა იქით შეეკითხა: — შენ თვითონ რას უპირებ შენს წილს?

ბრონიკმა მთლად კარგად ვერ გაიგო მეგობრის განაზრახი, მაგრამ აღარ ჩაეძია და უპასუხა:

— კარგა ხანია, კომბაინის გაკეთებას ვაპირებ — მაღალმგრძნობიარე რადიომიმღები და სტერეოვიდეომაგნიტოფონი უნდა შევაუღლო, თანაც ერთი ისეთი ბლოკიც უნდა ჩავურთო, რომ ბგერასთან და გამოსახულებასთან ერთად სხვადასხვა სუნიც გამოსცეს. მაგარი იქნება, არა?

— კი, მაგარი იქნება, — დაუმოწმა ფელიციანმა, წამით იყუჩა, მერე კი ნიკაპი მუჭში მოიქცია და ყოყმანით თქვა: — მაგრამ რაღაც... როგორღაც... ვაითუ ვინმემ იხუმრა და ყალბი ანდერძი შემოგვაპარა... ა?...

— რას ამბობ! — იფეთქა ბრონიკმა. — აბა ერთი კარგად დახედე, რას ქვია, ყალბი კი არა... ნაღდია!

— ქაღალდი კი ნამდვილია, ეს ფაქტია, — დაეთანხმა ფელიციანი.

— მეტი რაღა გინდა? ეს რა გამოდის, ჯერ თვითონ შემომთავაზე, ახლა კი უკან იხევ?

— უკან კი არ ვიხევ...

— მოვრჩეთ ახლა, — მოსჭრა ბრონიკმა. — მაშ ასე, ღამის 12 საათზე ხიდქვეშ ვხვდებით ერთმანეთს. რაც საჭიროა, ყველაფერს მე წამოვიღებ.

●

რკინაბეტონის ბოძები დევებივით იდგნენ წყალში, ხიდის ხერხემალი იდუმალი გამოქვაბულის თაღს ჰგავდა. წყლის ზედაპირი ფოსფორისფრად ირეკლავდა სანაპიროს ლამპიონების შუქს.

ქალაქი იძინებდა. უფრო და უფრო იშვიათად დასრიალებდნენ ხიდზე ტროლეიბუსები და მსუბუქი მანქანები, თუმცა მათი ყოველი გავლისას თაღქვეშ შემაშფოთებლად გუგუნებდა სივრცე და რაღაცნაირ მოუსვენრობას თუ შიშს ბადებდა გულში.

ბრონიკის ფიქრით, უკვე პირველი საათი იქნებოდა, როცა შორიახლო ნაბიჯების ხმა გაიგონა. მოიხედა, მეგობარი იცნო და შვებით ამოისუნთქა.

აპრილი იდგა, არცთუ ძალიან ციოდა, მაგრამ ფელიციანს სქელლანჩიანი ფეხსაცმელი და ტყავის კურტაკი ეცვა, ხელებზე განუყრელი ნატის თათმანები წამოეცვა. ბრონიკი გაცილებით მსუბუქად იყო ჩაცმული.

[1] „გუზლა, ანუ კრებული ლირიული ლექსებისა, შეკრებილი დალმაციაში, ბოსნიაში, ხორვატიასა და ჰერცოგოვინაში“ — პოეტური კრებული, რომელიც სინამდვილეში ფრანგი მწერლის, პროსპერ მერიმეს კალამს ეკუთვნის — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული მისტიფიკაცია.

— რაო, რეზინის ჩექმებით აპირებ თხრას? — სკეპტიკურად ჩაიცინა ფელიციანმა.

— შენ რაღას გამოწკეპილხარ? იქნებ შენი ტყავის კურტაკი უფრო მოხერხებულია? — დასცინა ბრონიკამა. — აჰა, წამოიღე. — ბარი გაუწოდა. — ჭკუის სწავლებას, ჯობდა, არ დაგეგვიანა. მე უკვე ვიფიქრე, აღარ მოვა-მეთქი.

— არაფერია, მოვასწრებთ. წავედით.

ბრონიკამ ჩანთა წამოიკიდა, ფელიციანს კიბეზე წამოეწია და როცა ფიცრულ მესერს გაჰყვნენ, მოჩვენებითი უზრუნველობით თქვა:

— არა, ფელ, ქალაქელების, აზნაურების საქმე ნამდვილად არაა მიწის თხრა. როგორ ფიქრობ, ხელთათმანები არ გაგიცვდება?

„ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს! — ცალყბად გაეღიმა ფელიციანს. — ეტყობა, ურიგო კალიგრაფი არ ვყოფილვარ, რაკი ასე კოხტად წამოგეგე ჩემს ანკესზე!“

ხმამაღლა კი თქვა:

— სერიოზულ საქმეზე მივდივართ, შენ კი ხუმრობ...

ერთხანს ჩუმად იარეს, ორივე თავ-თავის საფიქრალს ფიქრობდა. ორასიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, ფელიციანი შეჩერდა, დანდობილად მიადგა მესერს, ორი ფიცარი გადასწია, დაიხარა და გაძვრა. „მოდი!“ — ჩურჩულით უხმო მეგობარს.

ბრონიკაც გაძვრა, წელში გაიმართა და მიმოიხედა. კვარტალი ჩამკვდარიყო: მოქალაქეები სხვა ბინებში შეასახლეს, მშენებელ-რესტავრატორებს კი ჯერჯერობით მხოლოდ მესრის დაყენება მოესწროთ. ალაგ-ალაგ სანახევროდ ჩალეწილი ფანჯრის მინები ლაპლაპებდა. სადღაც, სხვენზე, ორპირი ქარი ზუზუნებდა, სადღაც სანახევროდ ამძვრალი თუნუქი ქლარუნებდა, არც ერთადერთი მბჟუტავი ლამპიონი ახალისებდა თვალსა და გულს.

— შენი არ ვიცი და მე კი ნამდვილად ვერ ვიტყვი, თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ბრონიკამ.

— მე — მით უ[illegible]ეტეს. იმდენი რაღაცა მაქვს წაკ[illegible]თხული მოჯადოებულ საგანძურებზე... განსაკუთრებით გოლიათის მონუსხული საფლავის ლეგენდა ჩამრჩა მეხსიერებაში. გინდა, მოგიყვე? — ჰკითხა ფელიციანმა და პასუხისათვის არ დაუცდია, განაგრძო: — ოდესღაც, ძალზე დიდი ხნის წინათ, ერთი სამთავროს დედაქალაქის მისადგომებთან ხშირად იმართებოდა ბრძოლები. გადმოცემის თანახმად, ერთმა დამარცხებულმა ლაშქარმა მთელი თავისი ნადავლი ოქრო-ვერცხლი, მტერს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, მიწაში ჩამარხა. ხოლო შემდეგ, პოვნა რომ არ გასჭირვებოდათ, იმ ადგილს უზარმაზარი ლოდი დაადგეს ძეგლივით.

გავიდა მრავალი წელი, მაგრამ თქმულება ცოცხლობდა. ერთხელაც რამდენიმე ყმაწვილკაცმა განძის მოძებნა გადაწყვიტა. დაუყვნენ მდინარეს თავქვე, ავიდნენ მაღალ ბორცვზე და დაინახეს ვეებერთელა ლოდი. შემოუთხარეს მიწა ცალ მხარეს, ლოდი გადააგორეს და დაიწყეს ორმოს თხრა. მალე ბარი ლითონის რაღაც საგანს მოხვდა და აღრჭიალდა. ყველამ იფიქრა, განძს მივაგენითო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ჯაჭვის პერანგი, რომელიც მეომრის ჩონჩხის მკერდს შემოკვროდა. ჩონჩხს თავზე ჩაჩქანი ეხურა. იქვე იდო ძლისტარიანი ხმალი.

ყმაწვილკაცებმა იფიქრეს, იარაღს მაინც წავიღებთო, მაგრამ ამ დროს ბორცვი ელვამ გაანათა და თვალწინ საოცარი სურათი წარმოუდგათ: დგას მრისხანესახიანი უზარმაზარი გოლიათი და ხმალი მუქარით შეუმართავს. და დაიგრგვინა გოლიათმა: „ოქროსთვის მიგიყიდიათ, უმაქნისნო, ყოველგვარი გრძნობა თქვენი, მხოლოდ გამდიდრებაზე ოცნებობთ და შეაშფოთეთ სული გოლიათისა, რომელიც მამაცურად იბრძოდა და დიდებით შემოსილი დაეცა!“



ისევ დაიქუხა გამაყრუებლად და გაქრა ის გოლიათი. როცა ერთხელაც გაიელვა, ყმაწვილკაცებმა დაინახეს, რომ ლოდი ისევ თავის ადგილას იდო და არც მიწას ეტყობოდა ბარისპირი...

— იქნებ ჯობს მოვეშვათ ამ საქმეს, ა, ფელიციან? — საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ყოყმანით თქვა ბრონიკამ. — იქნებ გადაგვეცა ის ანდერძი, სადაც ჯერ არს... ა?

„აჰა, შეგეშინდა?“ — გაუხარდა ფელიციანს, ხმამაღლა კი თქვა:

— რას ამბობ, ბიჭო?! არა, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ანდერძშია ნათქვამი. ან, იქნებ, გირჩევნია, რომ მარტო „მადლობა“ გითხრან? წამო, წამო, მისულები ვართ თითქმის.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯიც გაია-

რეს. ფელიციანი ძირკვთან შეჩერდა და მიწას ბარი დაჰკრა.

— აი, აქ მოთხარე!

— „მოთხარეს" თქმა ადვილია! — ჩაიბუზღუნა ბრონიკმა. — აქ სულ ფესვებით იქნება მიწა დაქსელილი. მუხის ფესვებს ეხუმრები? — ბარი მოიმარჯვა და ღონივრად დააწვა. თავდაპირველად პატარა ქვები და აგურის ნატეხები ხვდებოდა, მერე კი გაადვილდა მუშაობა. ბრონიკმა თანდათან გააფართოვა ორმო, რათა მიწის ამოყრა გაადვილებოდა, მაგრამ ორმოს პირი დროდადრო ირღვეოდა და მიწა ძირს იყრებოდა. ბრონიკმა ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, მოჯადოებული განძი ხომ არ არისო, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ფელიციანი შორიახლო ჩანთაზე იჯდა და ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა: „თხარე, თხარე! გგონია დამავიწყდა, რომ დამცინოდი და ჭკუას მასწავლიდი, ტყუილი ყოველთვის გამჟღავნდება და დაისჯებაო? ისტორიის მასწავლებელს ეჭვიც არ შეპარვია, რომ ჩემი ნაყალბევი რუნიკული[1] წარწერა ნამდვილი იყო, ვიდრე შენ არ აუხილე თვალი! თხარე, თხარე! მერე კი გაბრაზდები, მაგრამ რა გიყო, შენი ბრალია, თვითონვე წამოეგე ანკესს. მე, ჩემდა თავად, დაგიშალე კიდეც, ქარაგმულად მიგანიშნე კიდეც... შენ კი ვერაფერს მიხვდი..."

ის ერთადერთი ლამპიონი მთლად მიინავლა და ისე ჩამობნელდა, ბიჭები ძლივსღა ხედავდნენ ერთმანეთს.

— კარგი იქნებოდა, მიწისმთხრელი კომბაინი გამოგეგონებინა, თანაც ვიდეოთი აღჭურვილი, მიწის სიღრმეში რომ ჩაეხედა, ისეთი, — თქვა ფელიციანმა, როცა გაქაფული ბრონიკი სულის მოსათქმელად შეჩერდა, და უკან გადასახტომად შეემზადა, აქაოდა, ბარი არ მომიქნიოსო.

მაგრამ ბრონიკი არ გამოპასუხებია, უსიტყვოდ განაგრძო თხრა. ორმო კარგა ფართოც იყო და ღრმაც. მალე ბიჭი მკერდამდე ჩაიმალა და სწორედ ამ დროს ბარმა ლითონის საგანზე გაიღრჭიალა.

— განძი! ფულიანი ზანდუკი! — იყვირა ბრონიკმა.

ფელიციანი ნელა წამოდგა, უნდობლად გახედა ბარშემართული მეგობრის სილუეტს.

— შეუძლებელია, ადრეა ჯერ, — თქვა ხმამაღლა, გულში კი აწრიალდა: „რა უნდა იყოს? დიდი ქვაა თუ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ვამასხარავებ, და თავისი თამაში დაიწყო?"

— რას დარჭობილხარ მანდ?! მოდი ჩქარა! — მოუთმენლად შესძახა მღელვარებისაგან ხმააკანკალებულმა ბრონიკმა.

„უყურე შენ, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ტექნიკუნას ასეთი მსახიობობა შეეძლო. თუმცა... იქნებ მართლაც..." — გაიფიქრა ფელიციანმა, ორმოს მიუახლოვდა, ჩაიხედა და ახლა აშკარად გაიგონა ლითონის ღრჭიალი. — „ნუთუ... მაგრამ რატომ, ხომ ხდება ხოლმე ცხოვრებაში უცნაური დამთხვევები..."

— აბა ერთი მიმიშვი! — მოუთმენლად თქვა და ორმოში ჩახტა. — მოიტა ეგ ბარი!

ბარს დააწვა, მაგრამ ამაოდ. ბარისპირი რაღაც მაგარ საგანს კაწრავდა და ღრჭიალებდა. ბიჭმა ხელით გადახვეტა მიწა, ის საგანი მოსინჯა და დაასკვნა, რომ მუხის ფესვთან ჰქონდა საქმე. გაბრაზდა, ეფექტური „დამთხვევა" შეცდომა რომ გამოვიდა. ბარი მოიქნია და დაჰკრა, ერთხელ, მეორედ, მესამედ...

უცებ იელვა, მთელი ორმო წამით თვალისმომჭრელად განათდა და ორმოს პირას მდგარმა ბრონიკმა აშკარად დაინახა სანახევროდ მიწამიყრილი დაზიანებული მაღალძაბვიანი ელექტროკაბელი...

●

ბრონიკი უხალისოდ ატრიალებდა თავისი რადიომიმღების სახელურს. მხოლოდ ერთი წუთით შეჩერდა, უკანასკნელ ცნობებს მიუგდო ყური. „მემკვიდრეობა" ლაპარაკობდა.

ცნობილი ისტორიკოსი, სახელგანთქმული ნუმიზმატი მსმენელებს მოუთხრობდა დირჰემებზე — არაბული აღმოსავლეთისა და ოქროს ურდოს მონეტებზე, რომლებიც ბელორუსიაშიც იხმარებოდა არა უგვიანეს მეთხუთმეტე საუკუნისა.

მან განსაკუთრებით აღნიშნა: „დირჰემებზე არასოდეს არ გვხვდება მონარქთა თუ ამირათა გამოსახულებანი, ისინი მხოლოდ არაბული წარწერებით იჭრებოდა".

ბრონიკმა უჯრა გამოსწია და ფელიციანის ხელით დაწერილი ანდერძის ფურცელი ამოიღო. ფურცლის ქვემოთ შავარშიაშემოვლებული ფოტოსურათი იდო...

თარგმნა
ნუგზარ აფხაზავამ



[1] რუნიკული წარწერები — უძველესი გერმანული ანბანი, იხმარებოდა II საუკუნიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




### სირიული ზღაპარი

მხატვარი
**თემურ ფხიკიძე**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი კაცი. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი, სამივე ცოლშვილიანი. როცა მამა მოხუცდა, იხმო შვილები, მთელი თავისი ქონება გაუნაწილა და უთხრა: „გაძლევთ ყველაფერს, რაც გამაჩნია, თვითონ კი ერთი რამე მსურს — მშვიდობიანად და მოსვენებით ვიცხოვრო თქვენს შორისო“. დასხდნენ ვაჟიშვილები და მოითათბირეს, რომ მამა ყოველ მათგანთან თითო-თითო თვეს იცხოვრებდა.

მიდიოდა დღეები და თვეები. რძლებს თანდათან ყელში ამოუვიდათ ავადმყოფი მოხუცი და დაიწყეს ბუზღუნი. თან იმუქრებოდნენ — სახლს მივატოვებთ და მშობლებთან დავბრუნდებითო. ჰოდა, ვაჟიშვილებმა მამა მეჩეთში წაიყვანეს და იქ დატოვეს. ატირდა მოხუცი, დარდმა და წუხილმა შეიპყრო, მაგრამ რას გააწყობდა. ერთხელ იგი ერთმა მეგობართაგანმა ინახულა და ჰკითხა, რა მოხდაო? როცა გაიგო, თუ როგორ მოექცნენ მოხუცს ვაჟიშვილები, დაამშვიდა: „ნუ წუხარ, ვეცდები ყველაფერი მოვაგვაროო.“ მერე ბაზარში წავიდა, ხის ზანდუკი იყიდა და მოხუცს მიუტანა: „როცა დაიძინებ, ეს ზანდუკი თავქვეშ ამოიდე და დანარჩენი ჩემზე იყოს, ჩემი იმედი იქონიეო.“ ამის შემდეგ მოხუცის მეგობარი მის ვაჟიშვილებთან მივიდა და უთხრა: „მამათქვენს ზანდუკი აქვს, რომელსაც ძილის წინ ყოველთვის თავქვეშ იდებს და სიცოცხლეზე უფრო მეტად უფრთხილდებაო. შევთავაზე ზანდუკი ვინმეს შეანახვინე-მეთქი, მაგრამ იუარა და მითხრა: ამ ზანდუკში ისეთი განძი მაქვს, რომ მხოლოდ ალაჰმა უწყის მისი ფასი და ამიტომ ამას არასოდეს მოვიცილებო. და აი, მოვედი, რომ ეს ამბავი მეცნო თქვენთვის. ხომ შეიძლება ვინმე მივიდეს და მოპაროს! მამათქვენი მოხუცია და თვითონ ამ სიმდიდრის დაცვას ვერ შეძლებს“. ვაჟიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს და მამის მეგობარს მადლობა გადაუხადეს. მერე თავიანთ ცოლებს ყველაფერი უამბეს და წარსულში მათი უმადურობის გამოც გამოლანძღეს. ინათა თუ არა, ვაჟიშვილები მამასთან წავიდნენ, ბოდიში მოუხადეს. თითოეული მათგანი თავგამოდებით ცდილობდა, დაეყოლიებინა მამა და თავისთან წაეყვანა. ბოლოს მამამ უთხრა შვილებს: „მე ყოველ თქვენგანთან ვიცხოვრებ თითო-თითო თვეს, ოღონდ ზანდუკი ჩემთან დარჩებაო“. მიდიოდა დღეები და თვეები. ახლა ვაჟიშვილები ყოველ-

# მაღალი ზნეობის გაკვეთილი

### ელენ კელერის ცხოვრებიდან

„გამაგრდით! ნურასოდეს ნუ იფიქრებთ დღევანდელ წარუმატებლობაზე. იფიქრეთ წარმატებაზე, რომელიც შესაძლოა ხვალ მოვიდეს. თქვენ მძიმე ამოცანა დაისახეთ, მაგრამ წარმატება მხოლოდ მაშინ გეწვევათ, თუკი გაუძლებთ, არ შეუშინდებით წინააღმდეგობებს, ამ რთული გზის გავლაში ჰპოვებთ შვებას, სიხარულს... დაიხსომეთ, რომ კარგის მისაღწევად გაწეული შრომა არასოდეს იკარგება, როდესმე აუცილებლად ჰპოვებთ იმას, რასაც ვეძებთ“.

ეს სიტყვები იქნებ გაცვეთილ ჭეშმარიტებადაც ჩაგვითვალოთ, არადა, დარწმუნებულები ვართ, რომ მათ გამამხნევებელ ძალას ხელის ჩაქნევისა და სასოწარკვეთილებისაგან არაერთი ადამიანი უხსნია.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს სიტყვები წარმოითქვა ყრუ-მუნჯთა აღზრდის საზოგადოების წევრთა წინაშე, ხოლო ეკუთვნის ისინი ადამიანს, რომელმაც მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენისა და ნებისყოფის წყალობით შესძლო აუხსნელ ფენომენად, ერთგვარ გამოცანად ქცეულიყო თანამედროვე პედაგოგების, ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის.

ეს ადამიანი გახლდათ ელენ კელერი. გსმენიათ რაიმე გასული საუკუნის ბოლოს დაბადებულ ამ უბრალო ამერიკელ ქალზე? ამბობენ, რომ წლინახევრის ასაკში იგი მძიმედ დაავადდა — საბედისწერო შემთხვევამ მთლიანად დააკარგვინა მხედველობაცა და სმენაც. მან კი თავსდატეხილ უბედურებას გაუგონარი სიმტკიცით გაუძლო, დასძლია საკუთარ არსებაში შენიშნული ყოველგვარი სისუსტე, ჩამოყალიბდა ჯანსაღი სულის, ოპტიმისტ ადამიანად. თავისი უბადლო მასწავლებლის ა. სოლივანის ხელმძღვანელობით, იგი, ყრუ და უსინათლო, იმდენად მაღალ დონეზე დაეუფლა მეტყველების კულტურას, რომ სრულყოფილად შეისწავლა არამარტო ინგლისური, არამედ ფრანგული, გერმანული და ბერძნული ენებიც. ელენ კელერი შესანიშნავად იცნობდა თავისი მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და კულტურას, მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრებს. იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი... და ამ ყველაფერს მიაღწია საკუთარ ადამიანურ სისუსტეთა დაძლევისა და საყვარელ მასწავლებელთან თანამშრომლობის შედეგად.

მაგრამ... დავუბრუნდეთ ელენ კელერს. მით უმეტეს, რომ სულ მალე იგი მწერალიც გახდა. მის კალამს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი ცხოვრების ისტორია“ და ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომი „ოპტიმიზმი“. დიახ, ოპტიმიზმი... მას ნამდვილად ჰქონდა მორალური უფლება, ადამიანური ბუნების ეს უდიდესი ნიჭი ახობით ადამიანისათვის გადაეცა.

კიდევ ერთ რაიმეს გავიხსენებთ ამ საოცარ ქალთან დაკავშირებით. მარკ ტვენს უთქვამს, XIX საუკუნეშ შვა ორი ჭეშმარიტად საინტერესო პიროვნება — ნაპოლეონი და... ელენ კელერიო. ძნელია, არ დაეთანხმო ამ შესანიშნავ სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაესწროთ, რომ ავადმყოფი მოხუცის გული მოეგოთ. მას საუკეთესო ტანსაცმელს აცმევდნენ და საუკეთესო კერძებით კვებავდნენ. სიკვდილის წინ მოხუცმა ვაჟიშვილები თავისთან იხმო და უთხრა: „ეს ზანდუკი ჩემი უკანასკნელი ავლადიდებაა. ჩემი სიკვდილის შემდეგ სამართლიანად გაიყავით ერთმანეთში“. მამა გარდაიცვალა, ვაჟიშვილებმა დიდი პატივით დაასაფლავეს იგი და, როგორც კი გლოვის დღეები მორჩა, მაშინვე სანუკვარ ზანდუკს ეცნენ, რომ ენახათ, შიგ რა ეწყო. მათს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახეს, რომ ზანდუკი ქვითა და ქვიშით იყო სავსე. კიდევ შიგ მამის ხელით დაწერილი ბარათი იდო: „ჩემო ძვირფასო შვილებო! დიდად გმადლობთ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ბედნიერი დღეებისათვის. მე თქვენ მთელი ჩემი ოქრო და ვერცხლი დაგიტოვეთ, მაგრამ მათგან უფრო ნაკლები სარგებლობა მივიღე, ვიდრე ქვა-ღორღით სავსე ზანდუკისაგან. იცოდეთ. ჩემო შვილებო, რომ ბედნიერება ფულში კი არ არის, კეთილ საქმეშია. გპატიობთ მთელი გულით და ალაჰს ვთხოვ, იმანაც მოგიტევოთ“. აი, მაშინ კი მწარედ ატირდნენ ვაჟიშვილები სირცხვილისა და მწუხარებისაგან. მაგრამ განა მარტო ცრემლებით შეიძლება ადამიანმა თავისი სინდისი და გული დაიმშვიდოს?

აი ასე დამთავრდა ეს ზღაპარი. ჩვენ კი თქვენ გაუწყეთ ეს პატარა, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი ამბავი.

თარგმნა
ზ. ზოთაძემ



## საინტერესო სიახლენი

### დიდი ჩინური მწვანე კედელი

ამ სახელწოდებით ჩინეთში ხორციელდება გრანდიოზული პროექტი, რომლის მიზანია წყლების თუ მიწის სავარგულების დაცვა დამღუპველი უდაბნოს ქარიშხლებისაგან. ნოემბრიდან აპრილამდე ქვეყნის სამხრეთ რაიონებს თავს ესხმის მტვრის ღრუბელი, რომლის 90 პროცენტს კირის უმცირესი ნაწილაკები შეადგენს. იგი უზარმაზარ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას. მეცნიერთა ჩანაფიქრით, ქარიშხლებს (წელიწადში 80-ჯერ მაინც რომ მეორდება) გზას გადაუღობავს იმ ხეებისა და მაღალი ბუჩქნარის მძლავრი ზოლი, რომელთაც გვალვისა არ ეშინიათ. ეს პროექტი თავისი მასშტაბით თავისუფლად შეიძლება გვერდით დავუყენოთ ცნობილ დიდ ჩინურ კედელს. „მწვანე კედლის“ სიგრძე დაახლოებით 7 ათასი კილომეტრი იქნება.

### სამთვლიანი ტაქსი

ერთმა ინდურმა ფირმამ გამოუშვა სამთვლიანი ტაქსი, რომელიც შოფრის გარდა სამ მგზავრს იტევს. „მოტორიქშა“ (რიქშა ორთვლიან ეტლში შებმულ ადამიანს ეწოდება) 825 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ერთცილინდრიანი დიზელის ძრავათი მუშაობს. გაცივება ჰაერულია. გადაცემათა



კოლოფს სამი სიჩქარე და ერთი უკანა სვლა აქვს. მანქანა იაფია და, ეტყობა, კონკურენციას გაუწევს იაპონურ და ამერიკულ ავტომობილებს.

### მხოლოდ სუფთა ჰაერზე!

ჩვენ ხშირად მოწონებით ვადევნებთ თვალს სპორტულფორმიან მოქალაქეებს, რომლებიც ტროტუარზე ან სტადიონებზე დარბიან ძუნძულით — იბრძვიან ჯანმრთელობისათვის. ასეა კი — ჯანმრთელობისათვის?.. ლოს-ალამოსის (აშშ) ეროვნულ ლაბორატორიაში ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროში ვარჯიში მავნეა ადამიანის ორგანიზმისათვის, რადგან ვარჯიში სუნთქვის აჩქარებას იწვევს და ამ დროს ფილტვებში გაცილებით მეტი მავნე ელემენტი ხვდება, ვიდრე ჩვეულებრივი სუნთქვისას.

ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ სუფთა ჰაერზე ვივარჯიშოთ — ტყე-პარკში, ქალაქგარეთ, მდინარის პირას...

ჩვენი წარსულიდან

# დათუნა არაგვის ერისთავი

დათუნა არაგვის ერისთავი იყო ნუგზარ არაგვის ერისთავის პირმშო. იგი პირველად იხსენიება ნუგზარის მიერ არშის ციხის მეციხოვნეთა უფროსის ნადირა ხულელიძის სახელზე 1605-1619 წლებს შორის გაცემულ მამულის წყალობის სიგელში. მასში ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, მამისა და სულის მეოხებითა ყოვლად წმიდის და ყოველთა წმიდა მისთა უკუნისამდე ჟამთა და წელთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძე მე ნუგზარ ერისთავმან, ჩემმა შვილმა გიორგიმ, ზურაბმა და დათუნამ, შენ ხულელიძე ნადირას და შენსა ქალსა თანდარას“...

დათუნა ერისთავი ჭაბუკობიდანვე გიორგი სააკაძის გვერდით იზრდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გიორგიმ მისი და მარეხი ცოლად შეირთო, იგი სიძესა და გმირს გვერდიდან აღარ შორდებოდა.

ძველი ქართველი მწერლები და ისტორიკოსები დათუნა ერისთავს ახასიათებენ, როგორც გმირსა და მამულიშვილს.

დათუნა ერისთავი უშუალო მონაწილე იყო სპარსელების წინააღმდეგ საფურცლეში მომხდარი ქართლის აჯანყებისა, როდესაც ქართველებმა მტრის დიდი ლაშქარი დაამარცხეს და გაანადგურეს.

1625 წლის ივლისში საქართველოს შემოესია ურიცხვი სპარსელი. ამ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც მარაბდის ომი ეწოდა, დათუნა ერისთავმა, თავის სახელოვან დისწულ ავთანდილ სააკაძესთან ერთად, მართლაც რომ, საარაკო გმირობა ჩაიდინა — არაგველთა რაზმით დაამარცხა მტრის ძლიერი რაზმი, გაარღვია მისი გარემოცვა და მეორე მხარეს გავიდა.

დარდიანმა ფიქრებმა შეიპყრო ქართველები: დათუნა ერისთავი და ავთანდილ სააკაძე ალბათ დაიღუპნენ ბრძოლაში ან ყიზილბაშებმა ტყვედ ჩაიგდესო... დათუნას ძმა, თავში მძიმედ დაჭრილი ზურაბ ერისთავი, საკუთარ თავზე იმდენად არა ფიქრობდა, რამდენადაც თავისი ძმის ბედზე, ხოლო გიორგი სააკაძეს მძიმე საფიქრალი გასჩენოდა: აღარა ჩანდა მისი უფროსი შვილი ავთანდილი.

ყველასაგან მოულოდნელად მეორე დღეს დათუნამ და ავთანდილმა ისევ გამოარღვიეს მტრის რკალი და თავისიანებთან გაჩნდნენ.

სიხარულით შეეგებნენ გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი, ერთი — შვილისა და მოყვრის, ხოლო მეორე — ძმისა და დისწულის მშვიდობით დაბრუნებას. მარაბდის ომის შემდეგ დათუნა ერისთავი მუდამ ლაშქარში იმყოფებოდა. იგი მონაწილეობდა მდინარე ქსნის ხეობაში სპარსთა თოთხმეტათასიანი ლაშქრის განადგურებაში, თავგანწირულად იბრძოდა თავისი ძმების — გიორგის, ზურაბისა და გიორგი სააკაძის გვერდით.

მას შემდეგ, რაც ბაზალეთის ომში მისი სიძე გიორგი სააკაძე თავისი მომხრეებიანად დამარცხდა და მესხეთ-ჯავახეთში გადავიდა, დათუნა ერისთავი თავის ძმებთან მუდმივად დუშეთსა და ანანურში ცხოვრობდა.

1629 წელს, როცა საფურცლეში თეიმურაზ მეფემ თავისი საყვარელი სიძე ზურაბ არაგვის ერისთავი ღალატით მოაკვლევინა, ხოლო გიორგი სააკაძისა და ქართლის მმართველის ქაიხოსრო მუხრანბატონის მომხრეობისათვის გიორგი ერისთავს თვალები დასთხარა, დათუნა ერისთავი გაერისთავდა. მალე თეიმურაზ მეფეს საქმე ცუდად წაუვიდა და ქართლის სამეფოს გაეცალა. ქართლში კი გამეფდა გამაჰმადიანებული როსტომი. მეფემ დათუნას წინააღმდეგ ვერაგული ხერხი იხმარა. მან გაბაშვილი და თურქესტანიშვილი მიუგზავნა დათუნას და შეუთვალა: „პირობა მომეცი, რომ ყაენთან წასვლამდე ხელს მომიმართავ, თუ არა და, მამულს აგიოხრებო“.

დათუნა ერისთავი ძალაუნებურად დაენდო მეფის სიტყვას — იგი მუხრანის სანახებში ეახლა როსტომს. მეფემ კი სიტყვა გატეხა და ღალატით მოაკვლევინა გმირი მებრძოლი და მამულიშვილი.

ვახტანგ სიდამონიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

### არჩევენ თუ არა ცხოველები ფერებს?

არც ერთი ცხოველი, თუ მაიმუნს არ ჩავთვლით, შავი და თეთრი ფერის გარდა სხვა ფერებს ვერ ასხვავებს. წითელი ფერი ოდითგანვე სისხლის სიმბოლო იყო და ჩვენი წინაპრები მგლებზე ნადირობისას წითელ ნაჭრებს იყენებდნენ. წითელი ფერი, ამასთანავე, კარგად გამოიკვეთებოდა ტყის ფონზე.

კორიდაზე ტორეადორი ხარის წინ წითელ მოსასხამს აფრიალებს და აღიზიანებს მას. მაგრამ, თურმე ეს ფერი კი არ მოქმედებს, ცხოველზე, არამედ ტემპერამენტიანი პუბლიკის რეაქცია.

### „გრძელფეხა“ ადამიანები

ვიეტნამის ჩრდილოეთში, ყურეების ნაპირებთან, ხშირად ნახავთ წყალში ოჩოფეხებით ჩამდგარ ადამიანებს. ესენი აქაური მეთევზეები არიან, რომლებიც ბადით იჭერენ კრევეტებსა და ზღვის სხვა ბინადრებს. ოჩოფეხებზე სიარულს მეთევზეები ბავშვობიდან სწავლობენ. ისინი იმდენად



არიან შეჩვეული თავიანთ გრძელ „ფეხებს“, რომ ნაპირზეც სიამოვნებით დასეირნობენ და ხანდახან ფეხბურთს და ფრენბურთსაც კი თამაშობენ.



### ბავშვები ტომრებში

ჩვენთან ქალები თავიანთ შვილებს საბავშვო ეტლებით ასეირნებენ. მშობლისათვის ძალზე მოსახერხებელია ისეთი ეტლი, რომელსაც ბადე ახლავს, სადაც შეიძლება ნავაჭრი ნივთების ჩაწყობა.

მაგრამ ყველგან როდი სარგებლობენ ასეთი ეტლებით ან საოჯახო ჩანთებით. პაპუას ტომის ქალები საკვების საშოვნელად ტყეში დადიან, ზურგზე ტომარას იმაგრებენ, რომლის ერთ განყოფილებაში ბავშვი ზის, მეორეში კი სხვადასხვანაირი ძირხვენები და ნაყოფი თავსდება. თუმცა, ახალგვინეელი ქალები მაღაზიით არ სარგებლობენ, ტყეში ისინი გზასაც მშვენივრად იკვლევენ და შინაც არასოდეს ბრუნდებიან ხელცარიელნი.

### არქიტექტურული მუზეუმი

ვერტერ-ზეს ტბის (ავსტრია) ნაპირას განლაგებულ ქალაქ კლაგენფურტში შექმნილია არაჩვეულებრივი ლიაცისქვეშა მუზეუმი: აქ გამოფენილია მსოფლიოს ღირსშესანიშნავ ნაგებობათა მაკეტები. მოდელების მასშტაბია 1:25. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, დატკბნენ ვენეციელი დოჟების სასახლითა და ბასილი ნეტარის ტაძრით, პიზის დახრილი კოშკითა და ძველი პრაღის რატუშით, სტამბოლის ოსმანის მეჩეთით, ბრიუსელის „ატომიუმით“, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრით. აქვეა ჰოლანდიის ცნობილი არხები, თანამედროვე ნავსადგურის მაკეტი, რომელშიაც ოკეანის ლაინერი „ნიუ-ამსტერდამი“ შედის, და სხვა მრავალი საინტერესო ექსპონანტი.

### სფინქსის ახალი საიდუმლოება

აშშ-ის ქალაქ სანტა-ბარბარას უნივერსიტეტის არქეოლოგებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს: კალიფორნიის ერთ-ერთი პლაჟის ქვიშაში მათ აღმოაჩინეს... ეგვიპტური სფინქსები. კალიფორნიაში ძველეგვიპტური კულტურის სპეციალისტები ჩავიდნენ და, მართლაც, გათხრების დროს ეგვიპტური ტაძრების დეტალები, ქანდაკებები და ბარელიეფები იპოვეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, სენსაცია ფუჭი გამოდგა...

თურმე 1928 წელს რეჟისორმა სესილ დე მილმა ფილმის გადაღების შემდეგ მთელი რეკვიზიტი სილაში ჩაამარხვინა წინასწარი განზრახვით — არქეოლოგები იპოვნიან და, დაე, თავი იმტვრიონო.

ხუმრობა, მართლაც რომ, კურიოზული აღმოჩნდა!

### უძველესი ნამცხვარი

4000 წლის წინათ გამომცხვარი ნამცხვარი ექსპონირებულია შვეიცარიის ქალაქ ვევეში. იგი ძველი ეგვიპტის მმართველის აკლდამაშია ნაპოვნი. სამწუხაროდ, არავინ იცის, გემრიელია თუ არა იგი.

### მეგაბუსი

ესაა სამმაგი გადაბმული ავტობუსი, რომელიც ამჟამად გამოცდას გადის პარიზის ქუჩებში. მანქანის სიგრძე 25 მეტრია, მის სამ სალონში 200-ზე მეტი მგზავრი ეტევა, და თუ მეგაბუსი შეძლებს თავისუფლად იმოძრაოს პარიზის ძველ უბნებში, იგი ორჯერ მეტ მგზავრს გადაიყვანს, ვიდრე ყველაზე დიდი თანამედროვე ავტობუსი.

— წიგნის კითხვას ყოველთვის შუა ნაწილიდან ვიწყებ.

— რატომ შუა ნაწილიდან?

— იმიტომ, რომ ჩემს თავს ვეკითხები არა მარტო როგორ მთავრდება მასში მოთხრობილი ამბავი, არამედ როგორ იწყება.

●

მანდილოსანი ცოცხალი ფრინველების მაღაზიაში შედის და გამყიდველს თხოვს:

— მსურს ჭკვიანი თუთიყუში შევიძინო.

— აი, ქალბატონო, ეს თუთიყუში ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკობს.

— არა, არა, მე მოლაპარაკე კი არა, მოყურადე მინდა, ბატონო!

●

— ვის ელაპარაკებოდი მთელი 45 წუთი კარებთან?

— ქალბატონ დიბუას.

— მერე, შინ ვერ შემოიყვანე?

— ეჩქარებოდა.

●

— გუშინ ცოლთან კამათი მქონდა და საბოლოოდ ჩემმა სიტყვამ გაჭრა.

— რაზე კამათობდით?

— რაზე და, გადაწყვიტა ბეწვის ქურქი ეყიდა.

— მერე, ასეთი რა უთხარი?

— რა და... „ადექი და იყიდე!..“

●

ერთი ილუზიონისტი მაყურებელთა დარბაზში მჯდომ ბიჭუნას სცენაზე იწვევს და ეუბნება:

— ჩემო პატარავ, გააგებინე ხალხს, რომ ჩვენ პირველად ვხედავთ ერთმანეთს.

— დიახ, მამიკო...

თარგმნა ილნა ბადავიძემ




● ლარზე გაკიდული ფანჯრის ან კარის ფარდა კედელთან მჭიდროდ რომ მივიდეს, მანქანით გაკერილ ნაწიბურში საქსოვი ჩხირი ჩასვი. იგი საიმედოდ დაიჭერს ფარდის კიდეს დამატებითი სამაგრის გარეშე.



● ვიდრე ვაზნაში ჩადუღებულ ელექტრონათურას ამოხრახნიდე, ქვემოდან პოლიეთილენის პარკი აჰკრავი. ზედმეტი ძალდატანებისაგან ნათურა თუნდაც გატყდეს, ნამსხვრევები პარკში ჩაცვივა და სახესა და თვალებს არ დაგიზიანებს.



● გამოუვალი მდგომარეობა, როგორც იტყვიან, არ არსებობს. თუ შენი მიკროკალკულატორის აკუმულატორი დაიცალა, ხოლო ახლომახლო ელექტროგაყვანილობა არ არის, შეგიძლია ისარგებლო ფოტობლიცის დამმუხტავი მოწყობილობით, რომელშიაც ბრტყელი ბატარეაა ჩადგმული.



● პლასტიკის კანისტრის საცობი ხშირად იკარგება. არადა, სულ ადვილია ამ უსიამოვნების აცილება. საცობი გახვრიტე, შიგ კაპრონის ძაფი გაატარე, მისი ბოლო ასანთით მოწვი და ისე გააბრტყელე (გაცივებამდე), რომ ხვრელი ამოივსოს. ძაფის მეორე ბოლო კი კანისტრის სახელურს მიაბი.



● მაინცდამაინც ნუ იჩქარებ ძირგახვრეტილი ვედროს გადაგდებას: ძირი მოაჭერი და მის ნაცვლად მავთულისაგან მოქსოვილი ბადე დაამაგრე. ახეთი ვედრო მშვენიერ სამსახურს გაგიწევს ძირხვენების, საგალითად, კარტოფილის, სტაფილოს, ბოლოკისა და მისთანათა შეგროვებისას (მიწა, როცა გახმება, თავისით ჩაცვივა; ან შეგიძლია წყალი მიუშვა და გარეცხო).





# საძიებელი


სიცოცხლის ხალისი დავუბრუნოთ! (წერილი) . . . . . . . გარეკ. 2
ნ. ხარაზიშვილი — ვისაც „ნაკადულის" ახლოს გაუვლია (საუბარი გამომცემლობის დირექტორთან) . . . . 2
ო. შალამბერიძე — დავით ალმაშენებლის ხეივანი (ლექსი) . 5
ვლ. ასლამაზიშვილი — გუგრუცანა (მოთხრობა, გაგრძელება) 6
ნაირფერი ყელსახვევების კავშირი (წერილი) . . . . . 13
აისი . . . . . . . . . . . 14
მ. კარგარეთელი — საქმეები და მიზნები (ნარკვევი) . . 16
ქ. მიქაძე — კაკლის ხე (ლექსი) . . . . . . 17
ზ. ბაწელაშვილი — 50; (მოთხრობები) . . . . . . 18
კოცონი . . . . . . . . . . 23
ვლ. სივჩიკოვი — ანდერძობანას თამაში (მოთხრობა) . . 24
ზანდუკი (სირიული ზღაპარი) . . . . . . . 26
მაღალი ზნეობის გაკვეთილი: ელენ კელერის ცხოვრებიდან (წერილი) . . . . . . . . . 28
საინტერესო სიახლენი . . . . . . . . 29
ვ. სიდამონიძე — დათუნა არაგვის ერისთავი (წერილი) . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 31
უცხოური იუმორი . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . 32
ლელის ქუდი (მუსიკალური ნოტი) . . . . გარეკ. 4


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკაძისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო კადაგიძე, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამუგიანი, ლიანა შენგელაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-21-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-38-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.
გადაეცა ასაწყობად 26.12.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.02.89 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 3264. ტირაჟი 151000. ეგზ., უე 09125.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151 000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1988 წ.

КОНТРОЛЬНЫЕ

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი; 9. საქართველოს კულტურის ცენტრი მოსკოვში; 10. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია; 12. მტაცებელი ფრინველი; 14. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 16. მარცვლეული მცენარე; 19. ტექნიკური კულტურა; 20. მაგარი ქაღალდი; 21. ბაღის ბოლქვიანი მცენარე; 22. მსუბუქი ორთვლიანი ადამიანშებმული ეტლი აზიის ზოგ ქვეყანაში; 23. მოსწავლის მაგიდა; 25. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 27. წვრილად დაჭრილი ცომი; 31. სიგრძის საზომი ერთეული; 33. იჯარა; 34. საბუთი, რომელშიც განსაზღვრული იყო ეკლესიის მეურნეობისათვის სავალდებულო წესები; 35. ქართველი მომღერალი.

**შვეულად:** 1. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი; 2. პერიოდული სხდომა; 3. ხანჯლის ბუდე; 4. გარეული ცხოველი; 5. განუხორციელებელი იმედი, ოცნება; 7. ალ. ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟი; 8. სასწავლო დაწესებულება; 11. ქართველი მოქანდაკე; 13. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 15. ქიმიური ელემენტი, უფერო გაზი; 17. კარგად მოსიარულე ცხენი; 18. თოფის წამალი; 19. ერთწლიანი პარკოსანი კულტურული მცენარე; 24. კავკასიის ხალხთა ცეკვების შემსრულებელი ანსამბლი ჩრდილო ამერიკაში; 26. ტბა ამერიკასა და კანადაში; 28. დაგუბებული წყალი; 29. ჩინეთის ქალაქი; 30. ქართული საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1890-1923 წლებში; 31. საგრილებელი; 32. მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

შეადგინა
ქ. ქურდოვანიძემ.




## თავსატეხი

შეავსეთ ცარიელი უჯრები „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები მცენარეების, ცხოველების, ფრინველების, მნათობებისა და ძვირფასი ქვების სახელებით



ისე, რომ ლურჯ სვეტში მიიღოთ პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი.

შეადგინა
შოთა ხოდაშნელმა

## გამოცანები

არ შევჩერდები წვრილმანზე,
უმთავრეს ნიშანს ვეხები:
ზღვის ბინადარი გახლავს და
თავზე აბია ფეხები.

●

რძისფერი წვენი ჩამოსდის
გაკაწრულს ანდა გაპობილს.
ბუერა ფოთლები აქვს და
თაფლივით ტკბილი ნაყოფი.

●

ეს უჩინარი მოკეთე
ყოველთვის მეიმედება:
ამ ბოლოს თითს რომ
დავაჭერ,
იმ ბოლოს ამომზევდება.

ნ. მარიხია

## შარადა

ჩინური სიგრძის საზომი
უნდა აიღო ახლა
(ხუთას სამოცდაჩვიდმეტი
მეტრის ზომის რომ გახლავს),
დასკვნითი ნაწილისათვის
კი ის მცენარე კმარობს,

„ყურებზე არ დამაჭრაო!“ —
საუბარში რომ ვხმარობთ;
ამ უკანასკნელ კომპონენტს
მოსხლიტე წინა ბგერა. —
და აჰა, უკვე გაისმა
მისი ტალღების ჩქერა.

## მეტაგრამები

ის მოიარე შორი,
მშვიდობით მიდი შინ, —
იმ ბგერას თუკი შეცვლი,
რომელიც უზის წინ,
წვრილფოთლებიან ბუჩქად
გადაიქცევა მყის.

●

თვითვე თავზე დაეცემა,
ვინც მზეს იმას ესვრის,
შეუცვალე წინა ბგერა
(მეტაგრამის წესით), —
მწვანედ ბზინავს
და მიწაში
მკვიდრად უდგას ფესვი.

●

პურეულის ნამჯის ნალეწს
შეუცვალე წინა ბგერა
და ფირუზის უწყლო „ზღვაზე“
ამობრწყინდა ოქროსფერად.

შ. ამირანაშვილი

### პასუხები № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

**შვეულად:** 1. საზამთრო; 2. ვიოლინო; 4. ანდერძი; 5. ვიქტორია; 8. ლოტო; 23. აკვარელი; 24. დისკუსია; 26. გარსონი; 28. აზიმუტი; 29. სკრა.

**თარაზულად:** 6. ალბიონი; 7. ლაინერი; 9. ბახალა; 10. ბერეტი; 11. ამიმია; 12. პრიბოი; 13. რემონტი; 14. პერიოდი; 18. ;ენია; 19. ატამი; 20. გერბი; 21. პიესა; 25. კენგურუ; 27. ტალანტი; 30. ბაზარი; 31. კიოსკი; 32. არგუსი; 33. ამპლუა; 34. ლარნაკი; 35. მონტაჟი.

**რკალურად:** 3. დიაგონალი; 15. ნოვოსიბირსკი; 16. ინფანტილიზმი; 17. ანიზოტროპია; 22. ბიუროკრატია; 36 დიაფრაგმა.

### გამოცანები

ამირანი, სიზმარი,
ბურლი, ნამი, გველი.

### შარადა

ჰირი, ზაფხული,
ჰირნახული.

### მეტაგრამა

ნარი — ხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელის ქუდი

მუსიკა
**იულია მეტრეველისა**

ტექსტი
**ნანა ღვინეფაძისა**

ხმისათვის ფორტეპიანოს თანხლებით




ლელიმ ქუდი გადამალა,
აბა, ვინ რას
მიხვდებაო,
საზამთრომ თქვა:
ლელის ქუდი
მეც ძალიან მიხდებაო.

დელია, დელია.
ყვავილები აკისკისდნენ,
ამ დიდთავას
შეხედეთო!
პატარებო, აბა, ერთი,
ქუდიანად შელებეთო.

დელია, დელია.
გაჩნდა ფუნჯი,
საღებავიც,
მოიწვიეს მხატვრები,
სასეიროდ მოემზადნენ
ატმები და ვაშლები.

დელია, დელია.
ლელიმ ისევ დაიხურა
კოხტა ქუდი სამზეო,
ახლა ისევ ვისეირნოთ
არაგვზე და ქსანზეო,
დელია, დელია.

## ძვირფასო ბავშვებო!

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მეთერთმეტეკლასელი იულია მეტრეველს თქვენ უკვე იცნობთ, როგორც კომპოზიტორს — მას „პიონერის“ ფურცლებზე შეხვედრიხართ — 1985 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა მისი ერთ-ერთი საბავშვო სიმღერა ახალშექმნილი ვოკალური ციკლიდან. ნორჩი კომპოზიტორის დებიუტს წარმატება ხვდა, რაზეც მეტყველებს არაერთი მადლობის წერილი, რომლებიც მან სიმღერის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მოსწავლეებისაგან.

წლევანდელ სასწავლო წელს იულია ამთავრებს ამ სახელოვან სამუსიკო სკოლას. უნდა ვირწმუნოთ, რომ მრავალრიცხოვანი წარმატება, რასაც მან წლების განმავლობაში თავისი დაუღალავი და მუყაითი შრომით მიაღწია, ნებას მისცემს სწავლა განაგრძოს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის როგორც საფორტეპიანო, ისე საკომპოზიტორო განყოფილებაზე.

დღეს გთავაზობთ იულია მეტრეველის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს. ეს არის საბავშვო სიმღერა „ლელის ქუდი“ ახალი ვოკალური ციკლიდან „საყმაწვილო კრიალოსანი“ (პოეტ ნანა ღვინეფაძის ლექსებზე).

კომპოზიტორი
ალექსი შანიძე

ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ.